საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 10 სექტემბერი. 2019 წ. №178 (8844) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ერი და ბერი გიორგი გახარიას:

დასამთავრებელი დროზე უნდა დამთავრდეს!

ხალხმა ახალი პრემიერის სიტყვა „ბაჯაღლო ოქროდ“ ირწმუნა! ოცნებობანა დამთავრდა, მაგრამ დასამთავრებელი კიდევ ბევრია, ახალმა მთავრობამ კრიჭაში ჩამდგარი მტერი დროულად უნდა დაამთავროს!

ცხვრები იქა, ხალხი აქა

ნაციონალებმა თავიანთ ანსახლეტ „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად ახალი მთავრობის წევრობის კანდიდატთა დამტკიცების დღეს პარლამენტის ეზოში ცხვრის ფარა მირეკეს, თითო ნაციონალზე თითო ცხვარი, რათა „ოცნებისთვის“ უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, იქვე, პარლამენტის ეზოში, აეშიშხინებინათ მწვადი და ზედ სააკაშვილის ყვარლული წითელი ღვინო დაეყოლებინათ.

მაგრამ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ისე დაემართათ ერთხელ კიდევ გაბითურებულებს. გამარჯვების აღსანიშნავი სავარაუდო ლხინი დამარცხების ქელეხად გადაექცათ.

იხ. 3 გვ.

ფილიპ რიკერი: საქართველოსა და მის მოსახლეობას აშშ-სა და ამერიკელ ხალხზე უკეთესი მეგობარი არ ჰყავს

სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს განკარგულებით, მე დღეს საქართველოში ვიმყოფები, რათა ვთქვა, რომ გვჯერა, საქართველოსა და მის მოსახლეობას აშშ-სა და ამერიკელ ხალხზე უკეთესი მეგობარი არ ჰყავს, — ამის შესახებ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა ფილიპ რიკერმა თბილისში ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მაკკეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ, რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, აშშ-სა და საქართველოს აერთიანებთ იმის ცოდნა, რომ იცავენ ღირებულებების ერთიანობას.



ლოთი ელცინიდან – მოყირჭებულ დიქტატორ პუტინამდე

8

SOS!

მშენებლობებზე ბოლო 3 წელიწადში 101 ადამიანი დაიღუპა!

6

ციხე-სოფელი მუცო ცოცხლდება

11

არჩილ თალაკვაძე: დემოკრატია არ იბადება, დემოკრატია შენდება...

პოლიტიკური **დისკუსიების კულტურა დემოკრატიის გაძლიერებას უწყობს ხელს, დემოკრატია არ იბადება, დემოკრატია შენდება,** — ამის შესახებ საქათველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ თბილისში ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მაკკეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ, რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, მთავრობის მხრიდან გარანტირებულია ყოველი მშვიდობიანი პროტესტი, რომელიც იმართება გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, იქნება ეს მცირე საპროტესტო აქცია თუ დიდი.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მსოფლიოში არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანას არ სურს ნახოს, რომ მის პარლამენტს, კონსტიტუციურ ინსტიტუტებს თავს ესხმიან ადამიანები. თალაკვაძის განცხადებით, ქვეყანაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ საარჩევნო ყუთებითა და არჩევნებით, პოლიტიკური დებატებით, დემოკრატიული პლატფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

„რაც შეეხება ზაფხულის დემონსტრაციებს, შემიძლია, გითხრათ, რომ მსოფლიოში არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ სურს იმის ნახვა, თუ როგორ იყენებს პოლიტიკოსთა ჯგუფი ამ პროტესტს, თავს ესხმის კონსტიტუციურ ინსტიტუტებს, ქვეყნის პარლამენტს, საზოგადოებრივ წესრიგს. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ ამ დემონსტრაციების დროს ჩვენი მოქალაქეები, ახალგაზრდები, ჟურნალისტები და პოლიციის ოფიცრები დაშავდნენ. ჩვენი უპირველესი საზრუნავი და მიზანი ამ ადამიანებისთვის სამედიცინო დახმარება და რეაბილიტაცია რჩება. რა თქმა უნდა, ეს არის ის, რაც ჩვენ ძალიან გვაწუხებს. ამავე დროს, როგორც აღვნიშნე, მსოფლიოში არცერთ დემოკრატიულ ქვეყანას არ სურს ნახოს, რომ მის პარლამენტს, საზოგადოებრივ წესრიგს, მის კონსტიტუციურ ინსტიტუტებს ძალადობრივად თავს ესხმიან ადამიანები. გვსურს, დაგარწმუნოთ, რომ ამ ქვეყანაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ საარჩევნო ყუთებითა და არჩევნებით, პოლიტიკური დებატებით, დემოკრატიული პლატფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკური და კონსტიტუციური პასუხისმგებლობაა, ამ ქვეყანაში ძალადობრივი გზით ცვლილებები არ განხორციელდეს“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

სინდი მაკკეინი: ჯონს მიაჩნდა, რომ საქართველო დემოკრატიული ცვლილებებისკენ მიმართული ბრძოლის წინა ხაზზეა და ეს დღემდე ასეა

ეს განცხადება ჯონ მაკკეინის ქვრივმა სინდი მაკკეინმა თბილისში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა. მისი თქმით, საქართველო იმ ქვეყნების მოწინავე რიგებშია, რომლებიც „სამეზობლოში რუსეთის დომინირების წინააღმდეგ იბრძვიან“.

„საქართველო იმ ქვეყნების მოწინავე რიგებშია, რომლებიც სამეზობლოში რუსეთის დომინირების წინააღმდეგ იბრძვიან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოსკოვის მცდელობას, ძირი გამოუთხაროს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და კანონის უზენაესობას. ჯონ მაკკეინი არაერთხელ იმყოფებიდა საქართველოში და მოინახულა საოკუპაციო ხაზი, შეხვდა ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეებს. მაკკეინმა არაერთხელ გამოხატა საქართველოსადმი სიყვარული და აღტაცება, ის აღტაცებული იყო ქართველების დამოუკიდებლობისადმი სულისკვეთებით და თავისუფლების სიყვარულით“, — განაცხადა სინდი მაკკეინმა.

როგორც ჯონ მაკკეინის ქვირვი აცხადებს, მისი მეუღლე იყო საქართველოს უფლებების საუკეთესო დამცველი აშშ-სა და დასავლეთში.

„ჯონ მაკკეინი საქართველოს გვერდით იდგა, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის იბრძოდა. ჯონის სული ახლაც თქენთანაა, როდესაც საქართველო ბრძოლას განაგრძობს. ის რომ აქ ყოფილიყო, აუცილებლად მოუწოდებდა ქართველებს ერთად დგომისკენ, რათა თქვენი დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერდეს და ეროვნული უსაფრთხოება დაცული იყოს. რაც არ უნდა განსხვავებული შეხედულებები გქონდეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიის დაცვა უნდა იყოს თქვენი საერთო და მთავარი მისწრაფება“, — განაცხადა სინდი მაკკეინმა.

ხაზარაძეს მადა გაეხსნა

უპირველეს **ყოვლისა, დავაფუძნებთ საზოგადოებრივ მოძრაობას და მალევე დაფუძნდება პოლიტიკური პარტია,** — ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ორ დღეში გამოვაცხადებთ ჩვენი დაფუძნების თარიღს, საათსა და ადგილმდებარეობას. უპირველეს ყოვლისა, დავაფუძნებთ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც დავაანონსეთ და ასევე შეგატყობინებთ, როდის დაფუძნდება პოლიტიკური პარტია. ესეც იქნება მოკლე ხანში“, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ. ჟურნალისტების კითხვაზე, იქნება თუ არა მათ გუნდში ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ ამ თემაზე კვირიკაშვილთან კომუნიკაცია არ ჰქონიათ.

ანა ნაცვლიშვილი მამუკა ხაზარაძის პოლიტიკური პარტიის სპიკერი იქნება

„თიბისი ბანკის“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის პოლიტიკურ პარტიაში ყოფილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი და „საიას“ ყოფილი თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი იქნება. მისივე თქმით, ანა ნაცვლიშვილი პოლიტიკური გაერთიანების სპიკერი იქნება.

„დღეს გამოვაცხადებთ ერთ კანდიდატს, ეს არის ანა ნაცვლიშვილი. ანა დაინიშნა ჩვენი მოძრაობის სპიკერად და ძალიან მიხარია. დანარჩენს, თუ ვინ იქნება ჩვენი გუნდის წევრები, გაიგებთ უახლოეს დღეებში“ — განაცხადა ხაზარაძემ. მამუკა ხაზარაძეს არ დაუსახელებია, კიდევ ვინ იქნება მასთან ერთად პოლიტიკურ გაერთიანებაში.

ვის სჯეროდა გვარამიას სიტყვის?..

ანუ ჩასვრილი ქათმის მონოლოგი

მე თვითონ შევიტანე გირაოს, სესხების მსურველი უამრავია, გადავიხდი არა ჩემი, არამედ თქვენი ნებით, რადგან ვემორჩილები თქვენს რაციონალურ პოზიციას და ყველასთვის საჭიროსა და სწორს, ყველასთვის, ჩემ გარდა, — ამის შესახებ „რუსთავი-2-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში წერს.

„მოკლედ, ხვალ თუ ზეგ ჩემი გირაოს ბოლო დღეა.

ძალიან ნერვიულობს ჩემი გუნდი, ყველა უკლებლივ. ყველაზე მშვიდი პაატა იაკობაშვილით დაწყებული, გადარეული ნანუკა ჟორჟოლიანით დამთავრებული. ტელევიზიაში თითქოს ყველაფერი გამოდის, წესრიგშია, მაგრამ სადღაც იქ, ალარმის წითელი ნათურა მაინც ჩართული აქვთ. რაღაც ვარიანტებს იგონებენ, ჩვენ გადავიხდით ჩუმად, კიდე რაღაც და კიდე რაღაც და მამუნათებენ, ამხელა საქმე გააკეთე და უაზრო ახირებას როგორ უნდა გადაყოლო საქმეც და ამდენი ადამიანიცო.

ცალკე ჩემი ადვოკატი და სრული ნდობის კაცი დიტო საძაგლიშვილი მეუბნება, მე გადავიხდი, ფეხებზე მკიდია, შენ რას იზამ, საქმეს ღუპავ სულელური ახირებითო.

ეს საკითხი ძალიან აწუხებთ პოტენციურ ინვესტორებსაც და ითხოვენ გარანტიებს, რომ ადგილზე ვიქნები. აგერ უკვე ბოლომდე მიყვანილი კონტრაქტი ხელმოწერას ელოდება, მაგრამ ამ თარიღს ელის და რა მოხდება, აკვირდება ყველა. არადა, ინვესტორის გარეშე, ტვ ვერ გვექნება.

ყოველდღე მეტად და მეტად ითიშება ნერვიულობისგან ჩემი ცოლი. ბავშვების თავი არ მაქვს, არც მესმის, რას ელაპარაკებიო. ამერიკიდან ყოველ ღამე მირეკავს შვილი, რაც ვუახლოვდებით თარიღს, უფრო ნერვიულად მელაპარაკება, ბუნებით ძალიან ლაღი. სწავლის თავი არ მაქვსო, იძახის, ვერაფერზე ვერ ვკონცენტრირდებიო. გირაოს გადახდაზე ხმის დაძვრას ვერ მიბედავენ, იციან, რომ არ უნდა შემოვიდნენ ამ სფეროში.

მოკლედ, მეგობრებო, ვწუხვარ, რომ არ გესმით, რომ ჩემთვის ეს უბრალო ახირება არაა და მნიშვნელოვანი მორალური დილემაა. ვწუხვარ, რომ ჩემი მორალური არჩევანი თქვენი (გუნდის, ოჯახის) რაციონალური არგუმენტები და საჭიროებების საწინააღმდეგოდ გადის. ვწუხვარ, რომ ჩემი გულშემატკივრები ჩემი ამ საქციელის გამო, საქვეყნო საქმის ჩაგდებას პროგნოზირებენ.

მე არ გადავიხდი გირაოს. თქვენ გადაიხდით, თქვენი გადწყვეტილებით, რომელსაც ვემორჩილები. განვმარტავ: არავის მიერ ჩუმად შეტანა და არანაირი ფლეშმობები არ იქნება, არაა საჭირო თეატრალიზება. მე თვითონ შევიტანე გირაოს, სესხების მსურველი უამრავია. გადავიხდი არა ჩემი, არამედ თქვენი ნებით. იმიტომ, რომ ვემორჩილები თქვენს რაციონალურ პოზიციას და ყველასთვის საჭიროს და სწორს. ყველასთვის, ჩემ გარდა. ძალიან ვეცდები, ამან ისე არ მომშალოს, რომ ვეღარაფრის კეთება მერე ვერ შევძლო. იმედია ყველაფერი გამოვა“, — წერს ნიკა გვარამია „ფეისბუქში“.

ნიკა გვარამიას 11 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 40-ათასლარიანი გირაო შეუფარდა და ქვეყნის დატოვება შეუზღუდა. ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ გირაოს არ გადაიხდიდა. **„გირაოს გადახდას არ ვაპირებ, გამაფრთხილეს, რომ ჩემი პასუხისმგებლობა ამის გამო შესაძლოა, დამძიმდეს, მე ვერ ვხედავ პრობლემას, დამძიმდეს“,** — თქვა გვარამიამ.

გენერალურმა პროკურატურამ ნიკა გვარამიას 2019 წლის 6 სექტემბერს ახალი ბრალი წარუდგინა. გვარამიას ბრალი ედება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში, რაც ჩადენილი იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასევე ბრალი წარედგინათ „რუსთავი-2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორ კახაბერ დამენიასა და „ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს.

P.S. გვარამიამ გირაო გადაიხადა

გენერალურ პროკურატურაში ადასტურებენ, რომ „რუსთავი 2-ის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული 40 000-ლარიანი გირაო გადაიხადა.

ამასთან, გენერალურმა პროკურატურამ „რუსთავი 2“-ის ყოფილ გენერალურ დირექტორს 6 სექტემბერს ახალი ბრალი წარუდგინა. როგორც პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, გვარამიას ბრალი ედება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში, რაც ჩადენილი იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასევე ბრალი წარედგინათ „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორ კახაბერ დამენიასა და „ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს.

ცხვრები იქა, ხალხი აქა

ბევრჯერ მაქვს ნათქვამი, რომ ქართველები საკმაოდ უცნაური და უნიკალური ხალხი ვართ. იმის გარდა, რომ თითქმის ყველაზე კარგად ვცეკვავთ, ვმღერით, ვჭიდაობთ და ყველაზე გემრიელ ხაჭაპურს ვაცხობთ, პარლამენტში პრემიერ-მინისტრისა და განახლებული მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების პროცედურაც საკმაოდ განსაცვიფრებლად შეგვიძლია.

8 სექტემბერს მოვლენები იმდენად „საინტერესოდ“ განვითარდა, რომ...

აბა დაფიქრდით, როგორი სათარგმნია — სანამ მელია პარლამენტში სიტყვით გამოდიოდა, გარეთ ცხვრები ბალახობდნენ და კვიციანი უსტვენდა!!!

მოკლედ რომ ვთქვა, პარლამენტთან სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ აქციაზე ორგანიზატორებმა ცხვრები მიიყვანეს. საკანონმდებლო ორგანოსთან მოძრაობის მხარდამჭერები დილიდანვე შეიკრიბნენ.

„სირცხვილიას“ აქტივისტების განცხადებით, ეს არის „აქცია-პერფორმანსი“ და ცხვარი არის მორჩილების სიმბოლო და მარტივად სამართავი, რადგან მათ წინ მწყემსი მიუძღვებათ.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი გეგმავენ, ცხვრები საშვთა ბიუროსთან მიიყვანონ, რადგან მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება პარლამენტში — ეს ცხვარი თუ ის დეპუტატები, რომლებიც მანდატს ფლობენ.

აქციის ორგანიზატორების განცხადებით, მათ ცხვრები კონკრეტული პირებისგან იქირავეს და პერფორმანსის დასრულების შემდეგ კომფორტული ტრანსპორტით მფლობელთან დააბრუნებენ.

„სირცხვილიას“ აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი პროტესტის შეწყვეტას არ აპირებენ და პლენარული სხდომის პარალელურად სკანდირებას გააგრძელებენ“.

სხდომიდან გამოსულ ემზარ კვიციანს, ამ ე.წ. „აქციის“ მონაწილეები დაუპირისპირდნენ.

სულ ცოტა ხანში ნანუკა ჟორჟოლიანის შვილმა მარიამ გეგუჩაძემ ფეისბუქზე პოსტი დადო, სადაც წერდა, რომ თითქოსდა ირმა ინაშვილმა ჟურნალისტებს კონტრაქციის შესახებ დაუანონსა და უთხრა — ავტობუსებით მოვდივართო.

ასევე „შემოგვჩივლა“ — ალბათ იმათ აცემინებენ ჩვენს თავს, მაინც ჩვენ დაგვიჭერენ და „პატრიოტებს“ ესკორტით გააცილებენ.

არადა, ირმა ინაშვილმა თუ მარიამ გეგუჩაძის არსებობის და მისი „სამოქალაქო აქტივისტობის“ შესახებ რამე იცოდეს, მე ვიყო ნანულას პროდიუსერი.

დიახ, „აქციის“ მონაწილე ლაწირაკებმა, ბოკერიასგან დაფინანსებულმა და მართულმა ცხვრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს კაცს, ვინც 15 წელი იარაღით ხელში კოდორის ხეობას იცავდა, ყველაზე ცხელ წერტილს ჩვენს ქვეყანაში, მას იქ უამრავი ნათესავი და მეგობარი ჰყავს დაღუპული. მოუკლეს სრულიად ახალგაზრდა დისწულები.

სწორედაც „აქციის“ მონაწილეებმა მიაყენეს შეურაცხყოფა და არა პირიქით, როგორც ეს „ლიბერალურმა“ და სინამდვილეში მართლაც „ცხვრის“ მსგავსმა მედიასაშუალებებმა გააშუქეს.

ტელეკომპანია „იმედმა“ კი საერთოდ „სასწაული“ მოახდინა.

ამ ინციდენტის შესახებ იმედი-ნიუსზე დადებული ტექსტი შეცვალა და ძალადობის პროვოცირება კვიციანს დააბრალა!!! (იხ. ფოტო).

აი, ეს კი მართლა სირცხვილია!

სირცხვილია მედიის „ცხვრად“ გადაქცევა.

სირცხვილია ის მარაზმული, უილაჯო პოლიტკორექტულობა, რომელიც სახელმწიფოს აიძულებს, დაემორჩილოს დესტრუქციული ძალებისგან მართულ 20-კაციან აქციას და უფლებას მისცემს შეურაცხყონ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

არა შენობაში მყოფი ის ერთი მუჭა დეპუტატები, რომლებიც მიკროფონით ბაქიბუქობენ და ტელეფონით სხვა მესიჯებს აგზავნიან, არამედ ქვეყნის უმაღლესი ინსტიტუცია — საქართველოს პარლამენტი! და ამით შეურაცხყოს მთელი საქართველოს მოსახლეობა.

შეურაცხყოს ყველა, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა თუ საზოგადოებაში თავისი ადგილისა.

სირცხვილია ის ფობიები, რაზეც ინაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა: — რაღაც ფობიები დაგემართათ — ის რას იტყვის, ეს რას იტყვის... ქართველი ხალხი რას იტყვის, ეს უნდა

იყოს თქვენთვის მთავარი.

სირცხვილია ის, რომ ბოკერიას და მიHას კლოუნები, საკანონმდებლო ორგანოში სხედან და ქვეყნის ნორმალურ განვითარებაზე მსჯელობის ნაცვლად, ამაზრზენი ტყუილებითა და ცილისწამებით არეულობას პროპაგანდირებენ.

არადა, ამ ბოლო დროს ნაცებმა (ჩემთვის „ევროა“, თუ „ერთიანი“, ორივე ერთი ოხერია!) თეატრალურ პრონონსს ამულამებენ. ბოკუჩავას და სამადაშვილს თითქოსდა ინტონაცია გამოსდით, მაგრამ ხელებს პარჭყავენ უაზროდ. პარლამენტთან „ჭყლეტვის“ შემდეგ ხოშტარიას თვალები მიბნედილი დარჩა და სიმკაცრის სიმს ჟღერადობა მოაკლდა. მამაკაცები აბსოლუტურად უნიჭონი არიან. კონტექსტში ვერ ჯდებიან და რაც ყურადსაღებია, გამოთქმის მანერაში მაჭუტაძის და ჩარკვიანის გავლენა იგრძნობა.

მაგალითად რომან გოცირიძე და სერგი კაპანაძე გამოთქმის სიმძაფრეს სუფლიორის ტექსტს ვერ ამთხვევენ. ერთადერთი ოთო კახიძის მიმიკებია მაყურებლისთვის სიცილის მომგვრელი.

სტანისლავსკი არამც თუ „არ მჯერას“ იყვირებდა, პირველივე სკამის ფეხით დაერეოდა და საკაიფოდ მიტყიპავდა ყველას.

ამ ფონზე კი პატრიოტთა ფრაქციის შეხვედრა მინისტრობის კანდიდატებთან, ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა ნაც-ევროკლოუნების „ფრაქციების“ შეხვედრისგან.

ბავშვთა შიმშილობის თემა, პედაგოგების და პროფესურის ხელფასები, შრომის უსაფრთხოება, მამაპაპისეული მიწის გამოყენებისა და მოსახლეობაზე დაკანონების პროცედურის გამარტივება და კიდევ მრავალი სხვა, რაც საზოგადოებას რეალურად აინტერესებს და არა ვაგზლის მეძავის მსგავსად, რამდენიმე თაღლითის წივილი.

ნაცრეჟიმისა და კოჰაბიტაციის დამთავრებაზე აღარაფერს ვამბობ.

წერილს კი ერთი რიტორიკული შეკითხვით დავამთავრებ: საინტერესოა, გახარია ნაცებს რომ დაჰპირდა 2020-ში დაგასრულებთო, „ოცნების“ რამდენ წევრს გააჟრიალა?

...ვატყობ, ახალი პრემიერის მუქარა მხოლოდ მუქარად არ დარჩება!..

გია გაბრიჭიძე

„სირცხვილიას“ აქტივისტები ემზარ კვიციანს უჩივიან

საძმე ეხება პარლამენტთან მომხდარ დაპირისპირებას. კერძოდ, გუშინ, 8 სექტემბერს, „სირცხვილიას“ ორგანიზატორებსა და ემზარ კვიციანს შორის დაპირისპირება მოხდა.

პარლამენტის შენობიდან გამოსულ კვიციანს აქტივისტებმა „რუსეთის მონა“ და „მოღალატე“ უწოდეს, მან კი აქციის მონაწილეებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. კვიციანი ინციდენტის ადგილიდან პოლიციამ გაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტთან „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატ ემზარ კვიციანისა და სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტების მონაწილეობით ინციდენტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო. მათი ნაწილი პოლიციამ უკვე გამოკითხა. აქციაზე დაკავებული სამი ადამიანი პოლიციამ ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა. მათ შორისაა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ბეჟან გუნავაც. სამივე პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით იყო დაკავებული.

აქციაზე დაკავებულები ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს

პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე დაკავებული სამი ადამიანი პოლიციამ ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა. მათ შორისაა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ბეჟან გუნავაც.

სამივე პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით იყო დაკავებული. ბეჟან გუნავა და მისი მომხრეები რუსთაველზე აქცია „სირცხვილიას“ წევრების ტერიტორიიდან გაყვანას ცდილობდნენ. მათ ამის საშუალება სამართალდამცველებმა არ მისცეს.

პარლამენტის ტერიტორიაზე მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზატორები და მხარდამჭერები 8 სექტემბერს დილიდან შეიკრიბნენ. მათ პარლამენტის ერთ-ერთ შესასვლელთან სირცხვილის დერეფანი მოაწყვეს და სასტვენებით მთავრობის დამტკიცების პროცესს აპროტესტებენ. პროტესტის მიუხედავად, პარლამენტმა მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა მაინც გამოუცხადა.

რას ვეღით გახარიას მთავრობისგან?

ასევე წარმოუდგენელია, რომ საარჩევნო ვადის ამოწურვამდე სამთავრობო პროგრამა სრულად შესრულდეს. თუ ასე მოხდა, ეს ნიშნავს – თავად პროგრამა იყო მცდარი და იგი მიმდინარეობის პროცესშივე უნდა კორექტირებულიყო. საერთოდაც – მთავრობის გადადგომა იმიტომ, რომ მან მისია ამოწურა – უკვე არასერიოზულია, რადგან მართვა-გამგებლობა აშკარად დაუსრულებელი (და არა შეუსრულებელი) მისიაა!

ცხადია, გახარიას მთავრობასაც, ასევე – მის შემდგომ უკლებლივ ყველა მთავრობასაც, ვიდრე ეს ქვეყანა ჰგიეებს, ეს მისიაც – ე.ი. პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმარებაც, უდავოდ, ყოველ მიზეზს გარეშე, უნდა ჰქონდეს და იმედია, ბოლოს და ბოლოს, ექნება კიდეც! ამასთან, ამ სტრატეგიულ დაგეგმარებას, ბუნებრივია, თავისი მკაფიო „ინსტიტუციური ჩარჩო“ უნდა გააჩნდეს და ერთ-ერთი მთავარი სისტემური პრობლემა სწორედაც ეს არის. სამწუხაროდ, დღემდე ასეთი ინსტიტუციური ჩარჩო, აგერ, უკვე, თითქმის 30 წელი გავიდა სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან, ვერ შეგვიქმნია. უნდა ვაღიაროთ – ეს ვერც ბახტაძის მთავრობამ მოახერხა, თუმცა კი მიიჩნევს, რომ „განვითარების სტრატეგიული ჩარჩო შექმნა და უკვე დანერგა“ კიდეც!

პრობლემა უდავოდ საკანონმდებლო ხასიათისაა, ვინაიდან საკანონმდებლო აქტებით (ძირითადად „საბიუჯეტო კოდექსით“) საუბარი შეიძლება კონკრეტული, კანონით დადგენილი შინაარსის მქონე პოლიტიკის მხოლოდ სამი სახეობის დოკუმენტზე, კერძოდ, საბიუჯეტო აქტებზე (სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონზე, ავტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურ კანონზე, საკრებულოს დადგენილებაზე ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ), ქვეყნის „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე“, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის „პრიორიტეტების დოკუმენტზე“. მართალია, კანონი მოიხსენიებს აგრეთვე სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკისა თუ მუნიციპალიტეტის „საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსაც“, თუმცა მათ კონკრეტულ შინაარსს არ განსაზღვრავს.

ასევე, საინტერესოა საკანონმდებლო პრაქტიკა ტერმინ „სტრატეგიის“ რაობის გასარკვევადაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა და კვლავაც გამოიყენება ჩვენს კანონმდებლობაში. „საკანონმდებლო მაცნეში“ ამჟამად იძებნება 100-ზე მეტი კანონი, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება, თუმცა თუ დავაკვირდებით, სულ სხვადასხვაგვარ კონტექსტში და უაღრესად არაერთგვაროვანი, ხშირად ურთიერთსაპირისპირო და წინააღმდეგობრივი შინაარსითაც.

ჩვენს კანონმდებლობაში გვხვდება როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის სახით მიღებული პოლიტიკის დოკუმენტები, რომელთა სათაურში ეს სიტყვა – „სტრატეგია“ გამოიყენება. სულ საქართველოს პარლამენტს 2 ასეთი სტრატეგია აქვს დადგენილით დამტკიცებული („საქართველოს ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ 2007 წლის 13 თებერვლის №4334 დადგენილება და „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 30 აპრილის №2315 – IIს დადგენილება), ხოლო საქართველოს მთავრობას – სულ 36 სექტორალური სტრატეგია აქვს მიღებული 2010 – 2019 წლებში. ასევე, სექტორალური სტრატეგიის მინისტრის ბრძანებით დამტკიცების შემთხვევებიც გვხვდება ჩვენს კანონმდებლობაში (კერძოდ, სულ 3 ასეთი შემთხვევაა – 2 იუსტიციის მინისტრის, ხოლო 1 – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის).

ასეთი მდგომარეობა, როცა 2015 წლამდე სრულიად ბუნდოვანი იყო „სტრატეგიების“ როლი და ადგილი, ნათლად მიუთითებდა პოლიტიკის დაგეგმვის სისტემისა და შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტების სფეროში არსებულ მწვავე პრობლემებზე.

ბახტაძის პრემიერობამდე ჯერ კიდევ კვირიკაშვილის მთავრობა შეეცადა ამ ფუნდამენტური სისტემური ხარვეზის გადაწყვეტას და ამ მთავრობამ 2015 წლის 19 აგვისტოს მიიღო №427 დადგენილება: „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ (იხ.ამ დადგენილებაში არსებული ვითარება უაღრესად კრიტიკულად არის შეფასებული, კერძოდ, დაგეგმვის დოკუმენტების თაობაზე გამოტანილია მძიმე დასკვნა:

> **„1. არ არსებობს უნიფიცირებული, სისტემური მიდგომა დაგეგმვის დოკუმენტების შესამუშავებლად;**
>
> **2. დაგეგმვის დოკუმენტების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო პრაქტიკით არსებულ მოთხოვნებს;**
>
> **3. არ არსებობს სახელმძღვანელო დოკუმენტი სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, რომელშიც განმარტებული იქნებოდა პოლიტიკის დაგეგმვის ციკლი, სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა და მათი შემუშავების მეთოდოლოგია.“**

ამ დადგენილებითვე „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმირებისათვის“ დაისახა შემდეგი ამოცანები:

> **1. საკანონმდებლო ბაზისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გაუმჯობესება პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების მოსამზადებლად;**
>
> **2. პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც განსაზღვრული იქნება დოკუმენტების ნუსხა, იერარქია, ურთიერთმიმართება და მომზადების წესი;**
>
> **3. პოლიტიკის დაგეგმვასა და კანონმდებლობის შემუშავებას შორის კავშირის უზრუნველყოფა;**
>
> **4. პოლიტიკის დაგეგმვასა და ბიუჯეტირების პროცესს შორის კავშირის უზრუნველყოფა;**
>
> **5. სამინისტროების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;**
>
> **6. შედეგზე ორიენტირებული მართვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების დანერგვა.“**

ისიც აღსანიშნავია, რომ დაგეგმვის სისტემის მოწესრიგების ეს მცდელობა დიდად წარმატებული არ ყოფილა, რადგან მთავრობის ამ დადგენილებაში პოლიტიკის დაგეგმვის შემოთავაზებული ინსტიტუციური ჩარჩო არა სავალდებულო, არამედ ოდენ სარეკომენდაციო ხასიათისა გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ სისტემური თვალსაზრისით პრობლემა მხოლოდ „რეკომენდაციების“ დონეზე მოგვარდა, ხოლო ნორმატიული, ე.ი. სამართლებრივი შედეგების მიღების კუთხით, კვლავაც ღია და მწვავე ხასიათი აქვს, უნდა აღვნიშნოთ: თუ ბახტაძის ტერმინს – „განვითარების სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა და დანერგვა“ გავიგებთ სიტყვასიტყვით, ე.ი. როგორც პოლიტიკის დაგეგმვის სისტემას, მაშინ – ასეთი „ჩარჩოს“ შექმნისა და თუნდაც ოდენ სარეკომენდაციოდ შეთავაზების ავტორი კვირიკაშვილის მთავრობაა და არა ბახტაძისა. ხოლო თუ ამ ბუნდოვან ტერმინს გავიგებთ განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების და შესაბამისი დარგობრივი თუ სექტორალური, ანდაც მულტისექტორალური, მით უმეტეს – საერთო ეროვნული მნიშვნელობის „სტრატეგიების“ განსაზღვრის თვალსაზრისით, როგორც ეს თითქოს გამომდინარეობს თავად ბახტაძის ზემოხსენებული „გადადგომის ანგარიშიდან“, მაშინ ხაზგასმით ესეც უნდა აღვნიშნოთ: საქართველოს მთავრობას ბახტაძის პრემიერ-მინისტრობისას მიღებული აქვს სულ სამად სამი ასეთი სტრატეგია („საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების“, „საექთნო საქმის განვითარების“, „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ სტრატეგიები). სამივე ან რეგიონული ანდაც ვიწროდარგობრივი შინაარსისაა და ამრიგად, ეროვნული განვითარების რაიმე „სტრატეგიულ ჩარჩოზე“, მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული დოკუმენტებიდან გამომდინარე, რასაც სათანადო სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა, ვერ ვისაუბრებთ. ცხადია, შესაძლებელია საუბარი თავად პარლამენტში მხარდაჭერილ სამთავრობო პროგრამაზეც (როცა ბახტაძის მთავრობამ ნდობა მოიპოვა) და განსაკუთრებით, ბახტაძის „გადადგომის ანგარიშში“ საკმაოდ დეტალურად წარმოდგენილ განვითარების პრიორიტეტებზე, მართლაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვან სამ მთავარ მიმართულებაზე (საგარეო უსაფრთხოება და ინტეგრაცია დასავლურ სამყაროსთან, ეკონომიკური განვითარების 21-ე საუკუნის მოდელი და განათლება, როგორც ეროვნული იდეა), ამ მიმართულებებით შესრულებულ სამუშაოებზეც, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ „ღირებულებითი“ მსჯელობებია, თუ გნებავთ – უაღრესად სასარგებლო, მაგრამ ოდენ – პოლიტიკური სპეკულაციებია. მათ კი რაიმე არსებითი სამართლებრივი შედეგები პოლიტიკის დაგეგმვის, ამ პოლიტიკის „სტრატეგიული ჩარჩოს“ შექმნისთვის ვერ მოჰყვება, სანამ ეს მსჯელობანი ეროვნული განვითარების სტრატეგიული ვექტორების თაობაზე სათანადო, მკაფიო ნორმატიულ შინაარსს არ შეიძენენ, ე.ი. არ აისახებიან პოლიტიკის დაგეგმვის კონკრეტულ ნორმატიულ დოკუმენტებში: სამთავრობო სტრატეგიებსა, სამოქმედო პროგრამებსა თუ გეგმებში, იგივე „ძირითადი მონაცემებისა თუ მიმართულებების დოკუმენტსა“ თუ საბიუჯეტო აქტებში!

ამავდროულად, უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარებაში ადგილობრივი და რეგიონული დონეების მკაფიოდ გამოკვეთა, მათი მნიშვნელობის ხარისხობრივი გაძლიერება: ახლა სრულდება მუშაობა დეცენტრალიზაციის სტრატეგიაზე, სადაც სწორედ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე პოლიტიკის სისტემური წარმოებისათვის საჭირო დაგეგმარებაზეც, რომელიც დღემდე ასევე არ არსებობს, სისტემურად შექმნის აუცილებლობაზეც არის საუბარი.

ამრიგად, ჩვენი მმართველობის ფუნდამენტურ პრობლემად პოლიტიკის დაგეგმვის სისტემურობა, დაგეგმვის დოკუმენტების რაობა, შინაარსი, მათი სახეები და იერარქია, დაგეგმვის დონეების (ეროვნული, რეგიონული და მუნიციპალური) და შესაბამისი ინსტიტუციების გაურკვევლობა, პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების, მიღების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, მათში ცვლილებების შეტანის მეთოდები, რეგლამენტები და წესები კვლავაც ყველაზე სუსტ წერტილად და მე ვიტყოდი, უმთავრეს თავის ტკივილად რჩება! ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე ვერანაირი მატერიალური კაპიტალი თავისთავად პროგრესს ვერ მოიტანს, ხოლო „სოციალური კაპიტალი“ კი, თუ იგი კიდევ შეგვრჩენია – ფუჭად გაიფლანგება! ამიტომ:

> **გახარიას მთავრობისგან არა მხოლოდ ველით, არამედ უნდა მოვითხოვოთ კიდეც სამთავრობო პოლიტიკის სისტემურ რელსებზე რაც შეიძლება დროულად გადაყვანა, რაც, უწინარეს ყოვლისა, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე განვითარების სტრატეგიული დაგეგმარების, ზოგადად თუ ვიტყვით – პოლიტიკის დაგეგმვისა და გატარების მწყობრი სისტემის შექმნას, ამ სისტემის სამართლებრივ თუ ინსტიტუციურ უზრუნველყოფას გულისხმობს. ეს იქნება ახალი მთავრობის, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, უმთავრესი ამოცანა!**
>
> **მეორე, არანაკლებ ფუნდამენტური მნიშვნელობის ამოცანა, რასაკვირველია, პოლიტიკური სისტემის არსებითი ცვლილებებია. უწინარეს ყოვლისა – მტრული ძალის (იგულისხმება ნაცების ორივე პოლიტიკური ფრთა და მთლიანად მათი მკვებავი „ლიბერასტული“ ბანაკი) სახელმწიფოზე შეტევის აღკვეთა და ე.წ. კოჰაბიტაციის მავნე შედეგების ძირფესვიანად აღმოფხვრა-გამოსწორება!**
>
> **პარტიულ-პოლიტიკური სისტემის ხარისხობრივი გაჯანსაღებისთვის ასევე არსებითია უკვე დაგეგმილი საკონსტიტუციო რეფორმის ბოლომდე მიყვანა – პროპორციული არჩევნები „ბუნებრივი“ ბარიერით, ყოველ მიზეზს გარეშე, 2020 წელს რეალობად უნდა იქცეს!**

სწორედ ამ ორი უმთავრესი მიზნის – პოლიტიკური და მმართველობის სისტემების ფუნდამენტური რეფორმების საფუძვლების შექმნას უნდა მოხმარდეს მომავალ არჩევნებამდე გახარიას თითქმის იდეალური პიროვნული უნარ-თვისებები და მისი მთავრობის ძალისხმევაც!

დავით ზარდიაშვილი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №170-177

მოკრძალებული რჩევები ახალ მთავრობას

საჭირო დიალოგი,

ანუ გველსა ხვრელით ამოიყვანს...

ახლა საქართველოს მედიის წინასწარმეტყველება სექტემბერში ხელისუფლების შეცვლის თაობაზე. ჟურნალისტიკა აქცენტს უპირველეს ყოვლისა, პრემიერ-მინისტრ ბახტაძის გადადგომაზე აკეთებდა, რასაც პირდაპირ ეკითხებოდა მას. ბახტაძის პასუხი იყო ისეთი, როგორიც წინამორბედების – ჭორია!

არადა, ეს „ჭორი“ მესამედ ახდა და ბახტაძეც ისე დაგვემშვიდობა, როგორც თავის დროზე ღარიბაშვილი და კვირიკაშვილი.

ახალი პრემიერ-მინისტრი გახარია ცნობილი პიროვნებაა. ის, ხომ ბოლო 2 თვეა, ზედმიწევნით „ახარებს“ ოპოზიციაში მყოფ ნაცებს და მის მოკავშირე პარტიებს?!

20-21 ივნისიდან დაწყებული გახარიას სახელი, უპაუზოდ, ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიება – ერთობ „დემოკრატიულ“ ელექტრონულ მედიასა და ბეჭდურშიც. არის გამონაკლისებიც, რომლებიც, მიუხედავად ნაცთა რისხვისა, ბედავენ და თავს უფლებას აძლევენ, შეაქონ უკვე ყოფილი შს მინისტრი ქვეყნის გადარჩენისთვის და იმედს გამოთქვამენ, რომ იგი, წინამორბედთან შედარებით, უკომპრომისო იქნება საქართველოს მთელი რიგი პრობლემების მოგვარების საქმეში.

მოსაგვარებელი კი უამრავია, მათ შორის „ოცნების“ მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ხალხისთვის უხვად მიცემული შეუსრულებელი დაპირებები. მერვე წელია, „ოცნება“ მართავს ქვეყანას, მაგრამ მის მიერ გაკეთებული იმდენად „არაგათვალისწინებულია“, რომ მოსახლეობას, გული აუცრუვდა და ისევ მახრჩობელა სააკაშვილისკენ დაიწყო ყურება.

ახალი პრემიერ-მინისტრის და მისი განახლებული გუნდის უპირველესი ამოცანაა ვითარების ისეთი კარდინალური ცვლილება, რომ „ოცნებაზე“ გულაცრუებულმა ამომრჩეველმა ნაცებს არ მისცეს ხმა, ისევ შემობრუნდეს, ისევ იფიქროს, რომ ნაცთათვის ხმის მიცემა პირადად მას და ქვეყანას ავის მეტს არაფერს მოუტანს.

აღნიშნულის გასაკეთებლად ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ ამ ბევრიდან არის ისეთი, რომლის გაკეთება, სხვებთან შედარებით შესაძლებელია. მაგალითად, გახარიას განცხადება ნაცთა „დასრულების“ შესახებ, რომელიც მან ნაცებთან შეხვედრის დროს გააკეთა. რას ნიშნავს ეს, თუ არა სამართლიანობის აღდგენას?!

2012 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, ხალხი ითხოვს ნაცთა დასრულებას და თუ გახარია შეასრულებს დაპირებას, მას არჩევნების შემდეგაც („ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში) პრემიერ-მინისტრის თანამდებობას არ დაამადლის.

ხალხი ითხოვს სხვასაც, რასაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებიც (მეტ-ნაკლებად) ადასტურებენ – რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „ოცნების“ მიერ ხალხისთვის წარდგენილ სამოქმედო გეგმაში ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სამწუხაროდ, განვლილი, თითქმის 8-წლიანი მმართველობის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა, თუ არ ჩავთვლით აბაშიძე-კარასინის შეხვედრებს და ეკონომიკური ურთიერთობების გამოცოცხლებას.

სამწუხაროდ, 20-21 ივნისის მოვლენებმა ლამის ჩაკლა გამოცოცხლებული კავშირები და რომ არა რუსეთის პრეზიდენტის გონივრული გადაწყვეტილება – საქართველოს ახალი ეკონომიკური სანქციების არამოქმედების თაობაზე, ჩვენი ქვეყნის სოციალური მდგომარეობა კატასტროფული იქნებოდა.

არადა, ნაცთა მიერ ამხედრებული ახალგაზრდობისა და თავშეუკავებელი რუსოფობი ძველგაზრდების, უზრდელი ჟურნალისტის გაბუნიასა და სხვა მისი კოლეგების მიერ გამოწვეული ანტირუსული გამოხდომებით მოთმინებადაკარგული რუსეთის დუმა დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს დასჯას.

დამისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყანა, რომელიც, მიუხედავად იმისა, უყვარს თუ არა საკუთარი პრეზიდენტი, ყურიდან ყურში გააატარებდა მის პირად შეურაცხყოფას? პუტინმა, მოკლედ და კონკრეტულად უთხრა დუმას და სხვებსაც, რომ საქართველოს დასჯა კარგს არაფერს მოუტანს ორი ხალხის საუკუნოვან ურთიერთობას.

იმჟამად რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით – საქართველოსთან ბიზნესურთიერთობებზე უარი თქვეს რუსმა მილიონერებმა და მილიარდერებმა, რაც უდავოდ არასახარბიელო რამ არის საქართველოსთვის.

განაწყენდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მრევლი, რომლის თითქმის 90%-მა მიზანმიმართულად არ ჩათვალა ასეთ საქართველოსთან ურთიერთობა.

20-21 ივნისმა თავის უმთავრეს მიზანს მიაღწია, ანუ რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას და ის უმნიშვნელო წინსვლა, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი, შეფერხდა. რას ნიშნავს საქართველოსთვის რუსეთთან ბიზნესურთიერთობების გაუარესება, როდესაც ქვეყნის არსებულ ბიუჯეტში (4,7 მილიარდი დოლარი), რუს ტურისტებს 3,2 მილიარდი დოლარი შეჰქონდათ? ეს მონაცემები გასული წლისაა. წლევანდელი კი გაცილებით ნაკლები იქნება.

ანტირუსულად განწყობილი პოლიტიკოსები ხომ დაბეჯითებით მოითხოვენ ეკონომიკურ დივერსიფიკაციას, რატომ არ გააკეთეს ამგვარი ნაცთა მმართველობის დროს?

მარტივი მიზეზის გამო – ამერიკული ან ევროპული კაპიტალისთვის პატარა საქართველო არ არის საინვესტიციოდ საინტერესო ქვეყანა.

გახარიას გუნდისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს ჩვენ მიმართ ზურგშებრუნებული რუსეთის შემობრუნება, რისთვისაც არა მარტო ფუჭი დაპირებების კეთებისთვის წერტილის დასმაა საჭირო, არამედ ანტირუსული განცხადებების აღმოფხვრაც, რითაც ოპოზიცია გამოირჩევა, ასევე ხელისუფლებაც, განსაკუთრებით პრეზიდენტი ზურაბიშვილი, რომელსაც ჰგონია, რომ ანტირუსული განცხადებებით ჩამოიშორებს იმ ცილიმწამებლურ ტალახს, რომელსაც მას, ივანიშვილს და „ოცნებას“ მეთოდურად, პერმანენტულად ასხამს ნაცური ოპოზიცია.

მიუხედავად თავდავიწყებული თავის მართლებისა, რუსოფილები არა ვართო, მაინც არაფერი გამოვა, ვინაიდან ეს არის სწორედ ის გამიზნული ცილისმწამებლური თულფი, ანუ კოზირი, რომელსაც სისტემატურად გამოიყენებს ოპოზიცია თქვენს წინააღმდეგ. თქვენ კი, ნაცვლად თავის მართლებისა, უნდა განაცხადოთ, რომ რუსეთისადმი ნორმალური დამოკიდებულება არავის დასაძრახი არ არის და მოიყვანოთ თქვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობების მაგალითები.

აშშ-დან დაწყებული ნებისმიერი ქვეყანა, უკრაინის გარდა, ცდილობს რუსეთთან ურთიერთობას. ჩვენ კი, რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული გარკვეული ამერიკულ-ევროპული ჯგუფების წაქეზებით, უკადრებელს ვკადრულობთ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

კიდევ ერთი რჩევა – შეწყვიტეთ ბაქიბუქი, 8 წლის განმავლობაში გაკეთებული საქმის სადიდებლად. ხალხი თქვენგან თავის ქებას კი არ ელოდება, არამედ თვითკრიტიკას და შემდეგ გაუკეთებელი საქმის გაკეთებას.

უდავოდ მხარდასაჭერია თავდაცვის მინისტრის განცხადება „გირჩთან“ მიმართებაში. სავალდებულო სამხედრო სამსახური აუცილებელია ქვეყნისთვის, მისი აწმყოსა და მომავლისთვის. ჯარი აყალიბებს დისციპლინას, სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოს დაცვის პრიორიტეტულობას ყველა სხვა საქმესთან შედარებით.

ახალმა მინისტრმა და მისმა აპარატმა ახალი კანონპროექტით უნდა მიმართოს პარლამენტს სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით, სადაც გამორიცხული უნდა იყოს ალტერნატიული სამსახური, ან რაღაც მოსაზრებით სამხედრო სამსახურში წასვლაზე უარის თქმა. ასეთ ახალგაზრდას უარი უნდა ეთქვას უმაღლეს სასწავლებელში სწავლაზე, სამსახურში მიღებაზე.

საქართველოს, გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ესაჭიროება დისციპლინირებული ახალგაზრდა თაობა – ნარკოტიკებიდან შორს მყოფი. ის, ისეთი შეკრული და მობილიზებული უნდა იყოს, როგორც ისრაელში. ამ ქვეყანაში სამხედრო სამსახური აუცილებელია წვევამდელის ასაკს მიღწეული გოგო-ბიჭებისთვის. იქნებ ამ ქვეყნის მაგალითი გაგვეზიარებინა?

ჯარში სამსახური ისეთი პრესტიჟული უნდა იყოს, როგორც ამ ქვეყანში ან თუნდაც რუსეთში. სამშობლოს სიყვარული მარტო სადღეგრძელოთი არ უნდა შემოიფარგლოს – მას პრაქტიკული ქმედება სჭირდება.

უნდა ვერიდოთ ისეთი განცხადებების კეთებას, როგორიც ღარიბაშვილმა გააკეთა პარლამენტში – ყველა სახის იარაღის წარმოება, გარდა ბირთვულისა. საქართველოზე მრავალჯერ ძლიერ სახელმწიფოებსაც არეხელწიფებათ ტყვიაწამლისა და იარაღის დამზადება. ამისთვის კვალიფიციური კადრებია საჭირო, გარდა ამისა სამხედრო დანიშნულების ქარხნების მშენებლობა. საქართველოს აქვს ამის შესაძლებლობა?

საქართველოს ეკონომიკა, მით უმეტეს, ბიუჯეტი ვერ ასწევს ამ ტვირთს, ისე, როგორც უმჩატესი წონის ძალოსანი – მძიმეწონიანისთვის განკუთვნილ შტანგას.

თავდაცვის მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის გასაგონად – ნუ გამოვიჩენთ მოჭარბებულ აქტიურობას საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზების გახსნისთვის. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა იზორიამ დააანონსა ამის თაობაზე, თუმცა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ოთხი თვით გადაიდო.

გეგმის მიხედვით 3 სამხედრო ბაზა უნდა გაიხსნას საქართველოში – 2 სახმელეთო და ერთი საზღვაო. წინასწარ ძნელია იმის თქმა, რა სახის იქნება ეს ბაზები. ამის თაობაზე ამერიკელები არც მინისტრს ჩააყენებენ საქმის კურსში და არც ხელისუფლებას. ვეჭვობ, ადგილობრივი შეუშვან ბაზაში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ასეთია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მუშაობის სტილი.

ამერიკული სამხედრო ბაზების გახსნას თუ ვინმე უკავშირებს ქვეყნის გარანტირებულ უსაფრთხოებას, ღრმად ცდება. რუსეთისთვის მათი განადგურება წამიერი საქმეა, მაგრამ ამასთანავე გავნადგურდებით ჩვენც – რუსეთის სამიზნე ობიექტად გადაქცეული.

გარდა ამისა, დადგება დრო, როდესაც აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობა ანტაგონიზმით შეიცვლება, რასაც უდავოდ მოჰყვება მოსახლეობის გამოსვლები – ბაზების გაყვანის მოთხოვნით. ამის მაგალითები უხვადაა. მარტო იაპონია რად ღირს, სადაც სისტემატურად იმართება დემონსტრაციები და მიტინგები ამერიკული სამხედრო ბაზების დახურვის მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ.

შევიგნოთ, როდესაც აშშ ვითომ ჩვენი მოთხოვნით და ჩვენს დასაცავად ბაზას გვიხსნის – მას საქართველოს ინტერესი არ ამოძრავებს. რაც ამოძრავებს – რუსეთის სამხედრო რკალში მოქცევაა და მეტი არაფერი. თუ როგორ მოიქცევა რკალში მოქცეული ბირთვული სახელმწიფო, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

მინისტრები მოდიან და მიდიან, თანაც ისე სწრაფად, ვერც კი ვახერხებთ მათ გაცნობას. ახალი მოსულის მთავარი ამოცანა ის მაინც უნდა იყოს, რომ ქვეყანას თავსატკივარი არ დაუტოვოს. იზორიამ ისეთი ბომბი შემოგვიგდო, მისი განმუხტვა იოლი არ იქნება, მაგრამ თუ ამას ვერ მოახერხებს ღარიბაშვილი, ხალხისთვის არასასურველ პირთა სიაში დაიმკვიდრებს ადგილს.

ზემომოყვანილი სურვილები საზოგადოების სურვილებს ემთხვევა და ქვეყნის კეთილდღეობის მიმართულებით გადადგმული სწორი ნაბიჯის გამომხატველია. მათში ძირითადი აქცენტი რუსეთთან ურთიერთობებზეა გამახვილებული, ვინაიდან ამ ქვეყანასთან გაბუტულის პოზაში დგომას კარგი არაფერი მოუტანია. თუ არ ვიაქტიურებთ, უარესი ვითარება იქნება. გვაწყობს ასეთი?

დავიწყოთ მასთან დიალოგი, ვცადოთ, იქნებ რაღაც გამოვიდეს. რუსეთს აქვს ამის სურვილი და რახან ასეა, ვითარება გამოსწორდება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

კვირას „პატრიოტთა ალიანსმა“ აქციების სეზონი დააანონსა

აქციების სეზონს ვხსნით, – განაცხადა გუშინ სპორტის სასახლეში გამართულ შეკრებაზე “პატრიოტთა ალიანსის“ ერთერთმა ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა

„15-ში რესპუბლიკის მოედანზე შევიკრიბებით და მსვლელობას მოვაწყობთ, 22-შიც შევიკრიბებით, 29-შიც. ვფიქრობთ, რომ ოქტომბრის პირველ კვირას გავავსებთ თავისუფლების მოედანს“, – თქვა თარხან-მოურავმა.

მისი თქმით, ხელისუფლება არაფერს აკეთებს – არ სჯის მათ, ვინც დასასჯელია და არავის დასჯის, თუ არ იქნება დიდი საპროტესტო აქციები.

SOS: ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲑᲝᲚᲝ 3 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 101 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ!

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ უსაფრთხოების შესახებ კანონი, რომელიც ძალაში 2019 წლის 19 თებერვალს შევიდა, სექტემბრიდან კიდევ უფრო მეტ ნორმასა და ვალდებულებას უწესებს როგორც დამსაქმებელს, ისე შრომის ინსპექციის დეპარტამენტს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, საქართველოში იმაზე ორჯერ ნაკლები შრომის ინსპექტორია, ვიდრე უნდა იყოს, ხოლო შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა ათობით ათასს სცდება, პროფკავშირებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დასაქმებულთა უფლებებზე მუშაობენ, ფიქრობენ, რომ სექტემბრიდან ამოქმედებული ნორმები წინ გადადგმული ნაბიჯია დასაქმებულთა უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ᲠᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ?

მნიშვნელოვნად გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი. ანუ:

- თუკი პირველ სექტემბრამდე შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, პირველი სექტემბრიდან მისი მოქმედება ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში დასაქმებულების შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობაზე.
- თუკი პირველ სექტემბრამდე შრომის ინსპექციას საწარმოსა და დაწესებულების არაგეგმიური კონტროლის განხორციელება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ამიერიდან, შრომის ინსპექცია უფლებამოსილია, წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე და დღე-ღამის ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება.

გარდა ამისა, ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილია:

- გამოკითხოს დამსაქმებელი და დასაქმებულები ობიექტზე არსებული შრომის უსაფრთხოების ნორმების თაობაზე;
- მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტის გადაცემა, რომელიც აუცილებელია ზედამხედველი ორგანოს მიერ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.
- კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც პირველი სექტემბრიდან შევიდა ძალაში, ეს შეეხება დამსაქმებლების ვალდებულებების გაფართოებას:
- პირველი სექტემბრიდან დამსაქმებელი ვალდებულია, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით დანიშნოს ან მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.
- დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები. ხოლო თუკი დაწესებულებაში 20-დან 100-მდე დასაქმებულია, მაშინ ის ვალდებულია, ადგილზე ჰყავდეს არანაკლებ ერთი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური შრომის უსაფრთხოების არანაკლებ ორი სპეციალისტით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს აუცილებელია ჰქონდეს გავლილი შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა.
- ცვლილება კანონში ვრცელდება ყველა დაწესებულებაზე, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებზეც.

იქიდან გამომდინარე, რომ შრომის უსაფრთხოების კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ფართოვდება შესამოწმებელი ობიექტების არეალიც, აუცილებელია შრომის ინსპექტორების რაოდენობის ზრდაც.

40 ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ 40 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ინსპექციის დეპარტამენტის ინფორმაციით, დღეს საქართველოს მასშტაბით სულ შრომის 40 ინსპექტორია დასაქმებული. შესამოწმებელ ობიექტთა რაოდენობა კი პირველ სექტემბრამდე 40 ათასზე მეტი იყო.

იქიდან გამომდინარე, რომ პირველი სექტემბრიდან კანონში შევიდა ცვლილება და ამჯერად უკვე შრომის ინსპექტორების ვალდებულებაა, შეამოწმონ ყველა საწარმო თუ დაწესებულება, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს, მნიშვნელოვნად იზრდება შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობაც.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელი, მაია მიქაია „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ მომავალი თვიდან იგეგმება შრომის ინსპექტორების გადამზადება და მათი რაოდენობის 100-მდე ზრდა. გარდა ამისა, მისივე თქმით,

ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ?

უკვე მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც გულისხმობს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის გამოყოფას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან:

„უკვე დაწყებულია მსჯელობა იმაზე, რომ ჩვენი სამსახური გახდეს ცალკე სსიპი. შესაბამისად, მის ფარგლებში დაგეგმილია რეგიონული ოფისების შექმნა, რათა ინსპექტორები იყვნენ რეგიონებშიც. სავარაუდოდ, კანონპროექტის განხილვა უახლოეს პერიოდში დაიწყება პარლამენტში და გადაწყვეტილებაც დროულად იქნება მიღებული, რათა ჩვენც უფრო ოპერატიულად და ხარისხიანად შევამოწმოთ ობიექტები საქართველოს მასშტაბით“.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐ

„ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ უფლებებისა და სწავლების მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) განცხადებით, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, მათი თქმით, ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა დაძლევაც აუცილებელია შრომის ინსპექტირების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის და საწარმოო შემთხვევების პრევენციის თვალსაზრისით.

კერძოდ, EMC-ის არაერთხელ აღუნიშნავს, რომ აუცილებელია შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება და ამისთვის, დროულად უნდა დაიწყოს შრომის პირობების ინსპექციის დეპარტამენტის დამოუკიდებელ ორგანოდ ტრანსფორმირების პროცესი. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ინსპექტორთა რაოდენობა, რაც საერთაშორისო სტანდარტზე ორჯერ ნაკლებია, და ინსპექციის რეგიონული წარმომადგენლობის არარსებობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს შრომითი პირობების ინსპექციის დეპარტამენტის საქმიანობას თბილისის გარეთ. ამიტომაც, აუცილებელია, ხელისუფლებამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ასევე, აუცილებელია, მოხდეს შრომის ინსპექციის მანდატის იმგვარი გაფართოება, რაც საშუალებას მისცემს ინსპექციას, ზედამხედველობა განახორციელოს არა მარტო შრომის უსაფრთხოების ნორმებზე, არამედ ზოგადად შრომის კანონმდებლობის ნორმების აღსრულებაზეც.

გაერთიანებული პროფკავშირების ინფორმაციით, მზადდება კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სწორედ შრომის ინსპექციის მანდატის გაფართოებას იმ დონეზე, რომ ინსპექტორს საშუალება ჰქონდეს, შეამოწმოს არა მხოლოდ უსაფრთხოების ნორმები, არამედ შრომის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად, ზეგანაკვეთური სამუშაოების ანაზღაურება, შვებულებები, ხელშეკრულებები, დეკრეტული შვებულებები და ა.შ.

EMC-ის განცხადებით, საწარმოო შემთხვევები ხშირად სწორედ შრომითი უფლებების, ზეგანაკვეთური შრომის, დაურეგულირებელი სამუშაო დღეების, დასვენების თუ შესვენების არარსებობითა და სხვა მსგავსი გარემოებებითაა გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველ სექტემბრამდე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ევალებოდა, მიეღო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, სადაც უნდა განისაზღვროს უბედური შემთხვევის დაზღვევის წესები და პროცედურები.

უბედური შემთხვევების დაზღვევის რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაზიანებისა თუ გარდაცვალებების საგანგაშო მაჩვენებლის ფონზე.

EMC-ში აცხადებენ, რომ არასათანადო რეგულირების პირობებში, დამსაქმებლები ხშირად კანონის მოთხოვნის ფორმალურად შესრულების მიზნით, დაზღვევის ყველაზე მინიმალურ პაკეტს იძენენ, რაც უბედური შემთხვევის პირობებში, ხშირად, დასაქმებულთა მინიმალური საჭიროებების დაფარვასაც ვერ ახერხებს.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ განცხადებით, აქტების მომზადების მიზნით მთავრობამ გადადგა რიგი ნაბიჯები, თუმცა, ისინი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რომლითაც დამსაქმებლებმა უნდა იხელმძღვანელონ შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებისას, ჯერ კიდევ არ არის მზად.

პროფესიული კავშირების გაერთიანების მონაცემებით:

- სამუშაო ადგილებზე 2017 წელს დაიღუპა 41 და მძიმედ დაშავდა 66 ადამიანი;
- 2018 წელს დაიღუპა 39, ხოლო მძიმედ დაშავდა 37 ადამიანი;
- 2019 წლის დღეის მონაცემებით, დაღუპულია 21 და დაშავებულია 26 ადამიანი.

ᲜᲘᲜᲝ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲫᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ, აღმაშენებლის ქუჩაზე მშენებლობიდან ორი მუშა გადმოვარდა. ერთ-ერთი ადგილზე დაიღუპა. ინფორმაციას „TV 25“ ავრცელებს.

თვითმხილველების თქმით, შემთხვევა სანაპირო ზოლში სასტუმროს მშენებლობისას მოხდა. მეორე დაშავებული მუშა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.



5. მაიაკოვსკი ხელოვნებასა და შემოქმედებაზე

ვიცი, რომ გაზეთის მკითხველ უამრავ ხალხში, ასი მომხრეც არ მოგვიგროვდება და ეს ხალხიც ისე გვიყურებს, თითქოს მხოლოდ იმ ნაბიჯის მეკვირაძლენი ვიყვნეთ, რომელი ნაბიჯის შემდეგაც ჩვენს ხელოვნებას შეეძლება, რომ დიადიც გახდეს, მაგრამ სასაცილოც შეიქმნას.

* * *

სტუმართმოყვარე მასპინძელს სასტიკე უბრალოდ არ ეგების იმათ მიმართ, ვინც სტუმართა შორის სხვა შეხედულებებისა გამოდგება.

* * *

ჩვენ სიტყვა ცხოვრებისთვის გვჭირდება. უსარგებლო ხელოვნებას არამც და არამც არ ვცნობთ. ცხოვრების სუყოველ ხანას ხომ თავის სიტყვიერი ფორმულა აქვს. ჩვენი ბრძოლა ახალი სიტყვებისთვის რუსეთის გასაგარაქიანებლად თვითონ ცხოვრებით არის გამოწვეული. რუსეთში ქალაქურ ცხოვრებას ნერვებმა უმტყუნეს, რაც მოითხოვს სიტყვებს ცქვიტს, მომჭირნეს, მკვეთრს, არადა, რუსული ლიტერატურის არსენალში ერთი როგორიღაც ტურგენევისეული ბატონკაცური სოფელია.

* * *

გვინდა, რომ სიტყვა მეტყველებაში ხან ნაღმივით ტყვრებოდეს, ხანაც დაჭრილის კვნესად ისმოდეს, ხანისად კი ისე გუგუნებდეს, როგორც გამარჯვებულთა ვაშა.

* * *

პოეტის უსარგებლობა, სიბერე ის არის, სიტყვიერ გარსად, ხმოვან სამოსელს უკვე გაცვეთილს რომ იყენებს. გაიგეთ! სუყოველი გრძნობა, სუყოველი საგანი ამოიზრდება სიტყვის სამოსელიდან. სამოსელი ცვდება, გამოცვლაა საჭირო.

* * *

სიტყვები უნდა ვცვალოთ, ყოველდღე გამოვიგონოთ ახალი განსაზღვრებანი, ახალი შედარებანი.

* * *

ძველ სიტყვათა და სიტყვათშემოქმედების არსენალის გადასინჯვა – აი, პოეტების სამხედრო ამოცანა.

* * *

მინდა, რომ ლექსი
ხიშტს გაუტოლონ,
იყოს მუდმივად,
ფოლადიდან გამოყვანილი,
და პოლიტბიუროს
სახელით
ხალხს მოახსენებდეს სტალინი.

* * *

(პრიტიკოსთ და ჟურნალისტებს) ცისარტყელას ანდა ჩრდილოეთის ციალს რომ უცქერით, იმათაც ლანძღავთ? მაგალითად, იმიტომ, რომ ცისარტყელაში საკატლეტე ხორცის დაკეპვა არ შეიძლება, ხოლო ჩრდილოეთის ციალს თქვენი ცოლის ქვედატანს რაკი ვერ მიაკერებთ? ანდა იქნებ ერთად და ერთბაშად ლანძღავთ შვეიცარიაში მშრომელთა კლასების მიმართ სრული გულგრილობისთვის?

6. მაიაკოვსკი ომზე

„**გესმით!**
ყოველმა,
გინდ უმაქნისმა,
უნდა იცოცხლოს,
ბარმა იბაროს
თოხმა ითოხოს
ცოცხმა იცოცხოს,
მკვლელო,
მაგ შენს თოფს
აჯობა ფოცხმა.
ერთი იცოდე, –
ნუ დამარხავ
ნურავის ცოცხლად!

* * *

გრინაპოს გენერლები
ცოკოლზე დგანან,
წახნაგოვანზე, უჩანთ ეშვები,
და ლოცულობენ:
„ნალები აგვყარეთ
და გავეშვებით!“

* * *

კუნაპეტ ქუჩებში სპეტაკი დედანი
იცრემლებიან გაკუბოებულნი.

* * *

ლურჯთავშლიანი ვარსკვლავნი
ცას უმოწყალოდ
ჭრიდნენ...
და ახალ მთვარეს,
შიგ ბაკმში დაჭრილს,
მუშტში ეჭირა მჭიდე.

* * *

ხალხო!
გმირულად დაცემულს
როს რაცხთ წმინდანად,
სხვა არა მინდა რა,
აუგს ნუ დააკლებთ
ბრძოლიდან გაქცეულთ,
ვინც მოძმეთ გვესვროდა.
ნურც მე დამივიწყებთ
ამ ომში წაქცეულს –
მტრის სისხლის შემსმელს –
პოეტს წითელპრესნელს.

* * *

ვინ ანდა როდის ამოხსნის
სიცოცხლის იმედს ნაღმოსნით?

* * *

გოდმა და ბრაზი შეიბნენ,
იმუქრებიან მოსპობით,
რათა თავისად გახადონ,
ხელში ჩაიგდონ
ბოსფორი.
ოღონდაც მუქთად იშოვონ,
თუ გინდა იყოს ეკლები,
როგორც ჩანს,
მსუნაგ მსოფილოს
აღარ შერჩება
ნეკნები.

* * *

ჩანს, ქვეყნად არ დაილევა
თვალთაგან ავად
საყურებელი.
ქვეყანა დაიბნევა,
დედის რძე არ დაილევა,
და ზღვაზე გავარვარდება
ანძების საყურეები.

„მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისყურო“

ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულად ვადმოაენა ვყრამ ვოვიაშვილმა

ბაღდათელი ტრიბუნის თანამდევი ქართული სული

კავკასიაში ფეხი დავდგი თუ არა,
გამახსენდა ჩემი ქართველობა.

ვლ. მაიაკოვსკი

*„**მერე** ყველანი გავემართეთ რუსთაველის თეატრში, სადაც მაიაკოვსკი შეხვდა რეჟისორ კოტე მარჯანიშვილს. კოტეს განზრახული ჰქონდა „მისტერია-ბუფის“ დადგმა. საუბრისას მარჯანიშვილმა სხვათა შორის ჰკითხა:*

– თქვენ, მგონი, კარგად იცით ქართული ენა?

– დამავიწყდა, – მიუგო მაიაკოვსკიმ ქართულად ისე სუფთად და სწორად, რომ მივხვდით: ძალიან ცოტა რამ თუ დაავიწყდა, თუმც თვრამეტმა წელმა განვლო მას მერე, რაც საქართველო დატოვა.

ამაში მე მალე დავრწმუნდი, როდესაც ერთხელ შუა გაზარში ჩავიარეთ, მაიაკოვსკიმ გააჩერა ერთი გლეხი და ქართულად დაუწყო საუბარი. მაშინ კი ნათელი გახდა ჩემთვის, რომ ბავშვობაში მაიაკოვსკის მართლა შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი ქართული ენა.

მაიაკოვსკის საღამოებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. პოეტს ყველა აღტაცებაში მოჰყავდა თავისი ლექსების კითხვით, მაგრამ იგი ხიბლავდა კიდევ ხალხს თავისი მახვილი გონებით და სხარტი სიტყვა-პასუხით. მისი პასუხები შეკითხვებზე ეს იყო ენამახვილობის ნამდვილი ფეიერვერკი. შეუძლებელი იყო მისი დაბნევა. რანაირი კვანტიც არ უნდა დაგედოთ, იგი მაინც წაგაქცევდათ. მას შემდეგ 29 წელი გავიდა და, სამწუხაროდ, მეხსიერებაში აღარ დამრჩა მეტი რამ მისი ენამახვილობიდან. მახსოვს მხოლოდ ერთ საღამოზე, როდესაც მაიაკოვსკი აღტაცებით ლაპარაკობდა ქართული შაირის შესახებ, ერთმა ქალიშვილმა ადგილიდან ჰკითხა:

– თქვენ ქართული იცით? აბა, თქვით, რას ნიშნავს „მაკოცე“.

– მაგ სიტყვის მნიშვნელობა არა თუ ვიცი, – უპასუხა მაიაკოვსკიმ, – არამედ პრაქტიკულადაც კარგად ვასრულებ.

ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ, 1926 წელს მაიაკოვსკი კვლავ ეწვია თბილისს. მახსოვს, მაშინ მან გვიამბო ერთი ეპიზოდი:

*– ჩიკაგოში საღამო მქონდა, – გვითხრა მან, – მე ცხადია, რუსულად ვლაპარაკობდი, რადგან ინგლისური არ ვიცი. ერთი რუსი თეთრგვარდიელი გამოვიდა საკამათოდ და ჩემს გასაგებად სიტყვა ინგლისურად წარმოთქვა. ეგრე არ უნდა-მეთქი, ავდექი და სამაგიერო იმით გადავუხადე, რომ საპასუხო სიტყვა ქართულად გავეცი. ცხადია, მიზანში სწორად გავარტყი, მაგრამ ამ დროს თეატრის ქანდარიდან მოულოდნელად მესმის ვიღაცის ყვირილი ქართულად: „კაცო, შენ ქართველი ხარ?“, „ჰო, ქართველი ვარ, – გავძახე მე, – გაღდათელი ვარ, გაღდათელი“ (**აკაკი გელიაშვილი**).*

* * *

საერთო განწყობა თანდათან მატულობდა. პოეტებმა თავიანთი ყველაზე საყვარელი ლექსების სიმღერა დაიწყეს. ერთად დავაგუგუნეთ „მრავალჟამიერი“. შემდეგ კამენსკიმ და ბურლიუკმა ტკბილხმოვანი რუსული ხალხური სიმღერები „დუბინუშკა“ და „სტენკა რაზინი“ წამოიწყეს. დანარჩენები მანს ვაძლევდით. მაიაკოვსკი მათ არ ჩამორჩა და თავისი მძლავრი ხმით ქართულად დასჭექა:

მხოლოდ შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის
მოუცია მაღლიდან ღმერთს,
სიყვარული, სიხარული,
მხოლოდ შენ ერთს,
მხოლოდ შენ ერთს.
სიცოცხლეშიც, საფლავშიაც,
ყოფილიყავ ჩემთან ერთად...

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №170-177

ᲚᲝᲗᲘ ᲔᲚᲪᲘᲜᲘᲓᲐᲜ – ᲛᲝᲧᲘᲠᲭᲔᲑᲣᲚ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠ �პᲣᲢᲘᲜᲐᲛᲓᲔ

ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ 20 ᲬᲔᲚᲘ

20 ᲬᲔᲚᲘ გავიდა მას შემდეგ, რაც ბორის ელცინმა პრემიერ-მინისტრის პოსტსზე ვლადიმირ პუტინი წარადგინა. იმ დროისთვის პუტინზე ცოტა რამ თუ იყო ცნობილი. ის პოლიტიკურად არაფერს წარმოადგენდა. თუმცა ყურადღება მან მალევე მიიპყრო. ორი ათწლეულის განმავლობაში რუსეთის ლიდერმა საგარეო და საშინაო ფრონტზე ქვეყანა მნიშვნელოვნად შეცვალა.

1999 წლის სექტემბერში მოსკოვში, ბოლგოდონსკსა და ბუინაკსში საცხოვრებელი სახლების აფეთქებებს 300 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და 800-ზე მეტი დაშავდა. აფეთქება, ერთი ვერსიით, სწორედ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას ემსახურებოდა და თავად სახელმწიფოს მიერ იყო ორგანიზებული. „არსებობს ამის მრავალი მტკიცებულება. აფეთქებების სერია პუტინის ხელისუფლებაში მოსასვლელი სტრატეგიის ნაწილი იყო და ამან იმუშავა“, — ამბობს დევიდ სატერი, ავტორი და მკვლევრი.

მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს მოსაზრება სიმართლეს, აფეთქებებმა პუტინს პოპულარობა მოუტანა. „აფეთქებების სერიამ პუტინი ხელისუფლებაში მოიყვანა. აფეთქებებამდე, მცირე იყო შანსი, რომ ან პუტინი, ან ვინმე, ვისაც ელცინი მხარს უჭერდა, გახდებოდა რუსეთის მომავალი პრეზიდენტი. თუმცა, აფეთქებებმა, ჩეჩნეთში მეორე ომის გარშემო მოსახლეობის გაერთიანება გამოიწვია. ომის წარმატებამ კი პუტინის სტატუსი გაზარდა და მისცა სრულიად უცნობ ადამიანს საშუალება, პრეზიდენტი გამხდარიყო. მას არ ექნებოდა პრეზიდენტობის არანაირი შანსი, რომ არა ჩეჩნეთის მეორე ომი“, — განმარტავს სატერი.

პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებამდე, ვლადიმირ პუტინს ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა, იქამდე კი ის სანკტ-პეტერბურგში, ანატოლი სობჩაკთან ერთად მოღვაწეობდა. პუტინის კარიერა „სუკის“ აგენტობიდან დაიწყო, ის საბჭოთა კავშირის დაშლამდე აღმოსავლეთ გერმანიაში იყო მივლენილი. ბორის ელცინი 1999 წლის ახალი წლის ღამეს მოულოდნელად გადადგა და ის ვლადიმირ პუტინმა შეცვალა. **„მუდამ მთვრალი ელცინის მერე, ის ახალგაზრდა ლიდერი იყო, რომელსაც სწორ ხაზზე გავლა შეეძლო“,** — ასე აღწერა პიტერ პომერანცევმა პუტინის ხელისუფლების სათავეში გამოჩენა.

პუტინის გახელისუფლებაში კრიტიკული როლი ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ ითამაშა. ბერეზოვსკის საკუთრებაში მყოფი ტელეკომპანია „ო-ერ-ტე“ 2000 წლის არჩევნებზე პუტინის „პიარსა“ და გამარჯვებაში მნიშვნელოვანი იარაღი იყო. თუმცა ამ ორის გზა, მალევე გაიყარა. ბერეზოვსკი, პუტინს საჯაროდ პირველად პრეზიდენტად არჩევიდან რამდენიმე კვირაში დაუპირისპირდა. ის პუტინის საკონსტიტუციო რეფორმის წინააღმდეგ წავიდა, რომელიც ხელისუფლების ცენტრალიზაციას ახდენდა, აუქმებდა გუბერნატორების არჩევნებს და აძლევდა კრემლს უფლებას, დაენიშნა ისინი. ბერეზოვსკი 2013 წელს ინგლისში, ბერკშირში, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. პოლიციამ გარდაცვალების მიზეზად თვითმკვლელობა დაასახელა!!!

ბერეზოვსკი არ იყო ერთადერთი, ვის მიმართაც პუტინმა მალევე მიიღო ზომები. მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთის მეორე ომში, რუსეთის დაუნდობელ ქმედებებს ტელეკომპანია „ენ-ტე-ვე“ კრიტიკულად შეხვდა, ტელეკომპანიის სათაო ოფისში პოლიცია შეიჭრა. „ენ-ტე-ვეს“ რეიდს მედიის სახელმწიფოს ხელში მონოპოლიზება და 90-იანი წლების ოლიგარქების წინააღმდეგ დევნის კამპანია მოჰყვა. 2003 წელს პრეზიდენტთან შეხვედრისას ოლიგარქმა მიხაილ ხადარკოვსკიმ პუტინი გააკრიტიკა, ის მალევე დააკავეს და ნავთობწარმოებაში მისი აქტივები ჩამოართვეს. ხოდორკოვსკიმ ციხეში 10 წელი დაჰყო.

ოლიგარქთა პირველი თაობის გაქრობას ახლების დაბადება მოჰყვა. მათ ერთი რამ აერთიანებდათ — მათი ხატი პრეზიდენტი იყო. პუტინმა შექმნა რეჟიმი, სადაც მისდამი ერთგულება ერთადერთი გზაა ბიზნესსაქმიანობისთვის თუ მედიაბაზარზე დასარჩენად. ოლიგარქების საკუთრებაში მყოფი ტელეარხები ახლა უკვე პუტინის სამსახურში ჩადგნენ. „პუტინი ტელეგმირია. როცა ის პრემიერი გახდა, მართლაც არაფერს წარმოადგენდა. პირველი, რაც მან გააკეთა, ტელევიზიებზე კონტროლის მოპოვება იყო. ის ტელეპროექტია“, — უთხრა პიტერ პომერანცევმა „ამერიკის ხმას“.

რუსული მედია პუტინს წარმოაჩენს, როგორც ძლიერ და მტკიცე ლიდერს — ცხენზე ამხედრებულს, წელზევით შიშველს, სპორტულს თუ პოპულარული სიმღერის „ბლუბერი ჰილზ“-ის შემსრულებელს. 90-იანი წლების არასტაბილურობის შემდეგ, რუსი ამომრჩევლისთვის ახალგაზრდა, ძლიერი ლიდერი, რომელით მათ უფრო მეტ კეთილდღეობას და დიდებას ჰპირდებოდა, წარსულთან რადიკალურ კვეთას წარმოადგენდა. პუტინის ერთ-ერთი მიღწევა სწორედ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. „პუტინმა რუსეთი უფრო მდიდარ ქვეყნად აქცია, თუმცა დიქტატურად“, — ამბობს დევიდ სატერი. **„შიდა პოლიტიკის კუთხით, მან დიქტატურა შექმნა, სადაც ყველა ძალაუფლება რეჟიმის ხელშია. ამ რეჟიმის ძალა კი ერთ ადამიანშია მოქცეული. რუსეთში ძალაუფლების გადანაწილება 1993 წლიდან გაქრა, როცა ელცინმა რუსეთის პარლამენტი გაანადგურა. პუტინმა ეს პროცესი დაასრულა, მან გააქრო ძალაუფლების ყველა დამოუკიდებელი ცენტრი“, — თქვა მან.**

მოგვიანებით პუტინმა საერთაშორისო არენაზე გავლენის მოპოვების მიზნით სახელმწიფო უცხოენოვანი ტელეარხები „რაშა თუდეი“ და „სპუტნიკი“ შექმნა, რომლებიც საქართველოსთან ომის შემდგომ გააქტიურდნენ. საგარეო დაპირისპირება პუტინს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გაერთიანებაში ეხმარებოდა. საქართველოსთან და უკრაინასთან ომების შემდეგ პრეზიდენტის რეიტინგი საგრძნობლად იმატებდა. უკრაინის შემდეგ პუტინი სირიაში ასადის რეჟიმის გადასარჩენად ჩაერთო.

აგრესიულ საგარო პოლიტიკასთან ერთად, პუტინის რეჟიმს ოპონენტებისადმი ანგარიშსწორება გაჰყვება ხაზად. 2006 წელს ლონდონში „სუკის“ ყოფილი აგენტი ალექსანდრე ლიტვინენკო ჩაიში გარეული იშვიათი საწამლავით, „პოლონიუმ-200“-ით მოწამლეს. ლიტვინენკოს მკვლელობამდე ერთი თვით ადრე, საკუთარი სახლის ლიფტში ანა პოლიტკოვსკაია მოკლეს, თითქმის 10 წლის შემდეგ კი მოსკოვში კრემლთან ახლოს ოპოზიციის ლიდერი ბორის ნემცოვი გამოასალმეს სიცოცხლეს.

რეჟიმის მთავარი „მიღწევა“ განსხვავებული აზრის, დამოუკიდებელი და თავისუფალი სივრცეების ჩახშობაა. პუტინმა ხელისუფლების საკუთარ ხელში მოქცევა მოახერხა. „ყველაზე ცუდი, რაც პრეზიდენტმა პუტინმა გააკეთა, საქართველოსთან და უკრაინასთან ომის გარდა, სამოქალაქო ინსტიტუტების დანგრევაა. ეს საშიშია, რადგან მათი აღდგენა რთული იქნება. მართალია, რუსეთში ეს ინსტიტუტები არასდროს ჩამოყალიბებულა, თუმცა ისინი ნელ-ნელა ვითარდებოდნენ. პუტინი, რომ ხელისუფლებაში მოვიდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 10 წელი იყო გასული და არ იყო საკმარისი დრო მათ შესაქმნელად. პუტინმა გაანადგურა ყველა მათგანი: სასამართლო, კანონის უზენაესობა, მედია, რომელიც მართალია, ოლიგარქებს ეკუთნოდა, თუმცა ერთმანეთთან კონკურენციაში იყო“, — ამბობს კარინა ორლოვა. „რუსეთში დღეს არცერთი ინსტიტუტი არ ფუნქციონირებს და ეს არის პუტინის ყველაზე საშინელი მემკვიდრეობა“, — ამბობს ის.

სახელმწიფო და დამოუკიდებელი ინსტიტუტების დასუსტების კვალდაკვალ, პუტინის ხელისუფლებამ სხვა ინსტიტუტები გააძლიერა, მათ შორის მართლმადიდებელი ეკლესია. ეკლესია პუტინმა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების საშუალებად აქცია და მას, პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრად უფრო მეტი მნიშვნელოვანი როლი მისცა. 2012 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში დაბრუნდა, მან თავი ტრადიციული ღირებულებების, ოჯახის დამცველად და სექსუალური უმცირესობების უფლებების წინააღმდეგ მებრძოლად გამოაცხადა. პუტინს ეს რიტორიკა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის მოპოვებისთვის ეხმარება, სადაც ის რელიგიურ თუ კულტურულ კავშირებს იყენებს მოსკოვისთვის კეთილგანწყობის შესაძენად.

თუმცა, ორ ათწლეულთან ერთად, ქვეყნის შიგნით და გარეთ გახშირდა საუბარი იმაზე, თუ ვინ შეიძლება, იყოს პრეზიდენტის მემკვიდრე. ხელისუფლება ცოტა ხნის წინათ ძალადობრივად შეეცადა ოპოზიციონერი ალექსანდრე ნავალნის მიერ გამართული აქციების ჩახშობას. კრემლი ძალადობრივად გაუსწორდა 2011-12 წლებში „ბოლოტნაიას გამოსვლებს“. პერიოდული საპროტესტო გამოსვლების მიუხედავად, ქვეყნის ოპოზიცია კვლავ დანაწევრებული და სუსტია.

„პუტინის ხელისუფლებაში მოსვლიდან 20 წლის განმავლობაში, ბევრი რამ მოხდა, თუმცა უკანასკნელი 3-4 წელია, ვხედავთ და რუსეთში დემონსტრაციებზეც გამოჩნდა, რომ მან ფაქტობრივად ხელისუფლება ძალადობრივად დაიპყრო. ეს გამოიხატება „ძალოვნების“ გაძლიერებაში — ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის, უშიშროების საბჭოს და სახელმწიფო გვარდიის გაძლიერებაში“, — ამბობს კარინა ორლოვა, „მოსკოვის ეხოს“ ჟურნალისტი. „პუტინს დაიმახსოვრებენ საქართველოსთან, უკრაინასთან ომით და ყირიმის ანექსიით, თუმცა ასევე, მისი მმართველობის უკანასკნელი წლებით. ის უკან ვეღარ დაიხევს. ნათელია, რომ ეს მისი დაისია“, — ამბობს ის.

დემონსტრანტები მოსკოვის 8 სექტემბრის ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატების დაშვებას ითხოვდნენ. კრემლმა შეძლო აქციების მუხტის შესუსტება. თუმცა რამდენ ხანს მოახერხებს რუსეთის პრეზიდენტი 20 წლის მანძილზე დაგროვებული უკმაყოფილების შეკავებას, ღია კითხვად რჩება.

ᲐᲜᲘ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲒᲛᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ Ე.Წ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲓᲔᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ

ᲚᲘᲔᲢᲣᲕᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩუსმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა:

„მსურს, მკაცრად დავგმო ყველა ქმედება, რაც დაკავშირებულია ე.წ. არჩევნებთან და ბორდერიზაციასთან. ეს ქმედებები მიუღებელია და ვგმობთ მას. ჩვენ ქვეყნებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდა. რუსეთის აგრესიის დაგმობასთან ერთად, ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს, რასაც საქართველო აკეთებს ევროინტეგრაციის მიმართულებით. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ საქართველო ლიდერია ამ მიმართულებით. ნატოსთან მიმართებაში შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ალიანსის წევრივით მოქმედებს, აგზავნის ჯარისკაცებს, იზიარებს რისკებს, რაც სამომავლოდ ძალიან ძლიერი არგუმენტები იქნება“.

ლიეტუვის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ვილნიუსი ყოველთვის ელოდება, რომ ქვეყნის შიგნით იქნება ძლიერი დემოკრატია.

„არჩევნები, მედია პლურალიზმი, დემოკრატიის ყველა ეს ინსტრუმენტი უნდა იყოს ძლიერი და დაცული იმ ქვეყანაში, რომელსაც უნდა სამომავლოდ ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანება. ეს პროცესი ყოველთვის არ არის ადვილი, არსებობს ბევრი ბარიერები და ობიექტური პრობლემები. ყოველთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ და ჩვენ ყოველთვის ვიყავით აქ. ამ ღირებულებების დაცვა მნიშვნელოვანია არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩვენთვისაც, ლიეტუვისთვის. ის, ვინც ცდილობს, რომ მიზნები სამხედრო საშუალებებით შეასრულოს, უნდა შეჩერდეს. საქართველო არის ერთგული ლაკმუსის ქაღალდი ამ პროცესში“, — განაცხადა ლინას ლინკევიჩუსმა.

რა უფლებებს არ იყენებს დიდი ბრიტანეთის „მოკრძალებული“ დედოფალი?!

დიდი ბრიტანეთის დედოფალს აქვს ბევრი უფლება, პრივილეგია და უფლებამოსილება, რომელთაგან ის ზოგს იყენებს, ზოგზე კი უარს ამბობს. BBC წერს, თუ რისი უფლება აქვს ბრიტანეთის დედოფალს და ამ უფლებებიდან რომელს არ იყენებს და რატომ.

დღეისათვის დიდი ბრიტანეთის მონარქს პრემიერთან, მთავრობასა და პარლამენტთან მიმართებით ძალიან ცოტა უფლებამოსილება შემორჩა. მას არ შეუძლია მინისტრთა კაბინეტის დათხოვნა და აღმასრულებელ ხელისუფლებას დედოფლის მოწვევით პრემიერ-მინისტრი აყალიბებს. მართალია, პრემიერს ელისაბედ მეორე ნიშნავს, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის.

შეუძლია თუ არა ელისაბედ მეორეს პრემიერ ბორის ჯონსონის გათავისუფლება?

„კი, მაგრამ...“ დედოფალი პრემიერ-მინისტრს ნიშნავს, მაგრამ ეს ხდება არჩევნებისა და საპარლამენტო კენჭისყრის შედეგების საფუძველზე. მონარქი მთავრობის მმართველს თავად არ არჩევს. თუ ამა თუ იმ დეპუტატის პარტიას პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს ან მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ პარლამენტარების ნდობით აღჭურვილი პირია, დედოფალი მას მთავრობის ჩამოსაყალიბებლად იწვევს. ამ პროცესში მონარქი პრემიერ-მინისტრის რჩევის მიხედვით მოქმედებს.

როგორ ტოვებენ პოსტს ბრიტანელი პრემიერები?

თუ მოქმედი პრემიერ-მინისტრი არჩევნებში ვერ იმარჯვებს ან პარლამენტის ნდობას კარგავს, ტრადიციის მიხედვით, ეს ადამიანი გადადგომის შესახებ განცხადებას თავად წერს. თუ ის უარს იტყვის დაუნინგ-სტრიტის დატოვებაზე, მაშინ, როგორც ბრიტანული სამართლის ექსპერტები განმარტავენ, თეორიულად დედოფალს შეუძლია მისი გათავისუფლება. თუმცა ასეთი რამ არასდროს მომხდარა: ჯერჯერობით ტრადიცია ყოველთვის უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე რომელიმე პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დარჩენის სურვილი. თუმცა Brexit-ის მოწინააღმდეგეებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ დედოფალს გამონაკლისის დაშვება შეუძლია.

შეუძლია თუ არა ელისაბედ მეორეს ომის გამოცხადება?

ბრიტანელი მონარქების უფლებებისა და უფლებამოსილების უმრავლესობა „სამეფო პროვილეგიების შესახებ“ კანონშია გაწერილი. თეორიულად დედოფალს აქვს უფლება, სხვა სახელმწიფოს ომი გამოუცხადოს, რადგან ქვეყნის სამხედრო ძალები ფიცს სწორედ მის წინაშე დებენ.

უკანასკნელი ბრიტანელი მონარქი, რომელმაც სხვა ქვეყანას ომი გამოუცხადა, ელისაბედ მეორის მამა გეორგ VI იყო. ეს 1939 წელს მოხდა. გეორგ VI-მ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ნაცისტურ გერმანიას ომი გამოუცხადა. მის ქალიშვილს კი ჯერჯერობით მსგავსი არაფერი გაუკეთებია. ამ გადაწყვეტილებას დღეს უკვე დიდი ბრიტანეთის მთავრობა იღებს, ჩვეულებისამებრ (მაგრამ არა ყოველთვის), საპარლამენტო კენჭისყრის შედეგად.

ზოგადად, „სამეფო პრივილეგიების შესახებ“ კანონი მონარქს აძლევს შესაძლებლობას, სერიოზული კონსტიტუციური კრიზისის დროს მინისტრების რჩევები უგულებელყოს. ასეთ სიტუაციაში დედოფალს შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც სურს - მათ შორის, მისი ქვეშევრდომების ქონება მიისაკუთროს ან გაანადგუროს.

რას აწერს ხელს ბრტანეთის მონარქი?

დღევანდელ ბრიტანულ პოლიტიკაში დედოფალს არც თუ ისე ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქცია დარჩა. მაგალითად, ის ხსნის პარლამენტის ახალ სხდომას და შეხვედრაზე მონარქისთვის წინასწარ მომზადებული სიტყვით გამოდის. ის მთავრობისა და საკუთარი მრჩევლების რეკომენდაციით ნიშნავს მინისტრებსა და ლორდებს, თავის ქვეშევრდომებს ბევრი ტიტულით აჯილდოებს, თუმცა რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებას არც აქ იღებს.

კიდევ ერთი „სამეფო სანქცია“ ეხება იმას, რომ ყოველი კანონის ამოქმედებამდე მას ხელი ელისაბედ მეორემ უნდა მოაწეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ძალაში ვერ შევა. პრინციპში, მონარქს უარის თქმაც შეუძლია. თუმცა რადგან ელისაბედ მეორე ყველა პოლიტიკური საკითხისადმი მკაცრად ნეიტრალურია, ის ასე არასდროს იქცევა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფალს შეუძლია პრემიერ-მინისტრს ყოველკვირეულ ტრადიციულ შეხვედრაზე ამა თუ იმ კანონის შესახებ თავისი მოსაზრება უთხრას. უკანასკნელად ბრიტანელმა მონარქმა კანონს წინააღმდეგობა 1708 წელს გაუწია. ეს იყო დედოფალი ანა სტიუარტი, რომელმაც შოტლანდიის პოლიციის აღდგენის შესახებ კანონს ხელი არ მოაწერა. დღეს უკვე თუ პარლამენტმა მიიღო კანონი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძალაშიც შევა.

მონარქი კანონზე მაღლა დგას?

ელისაბედ მეორე ნესმიერ ბრიტანულ კანონზე მაღლა დგას. მას შეუძლია არ გადაიხადოს გადასახადები და ვერავინ აიძულებს სასამართლოში გამოცხადდეს, მოწმის სახითაც კი. ელისაბედ მეორეს პასუხისგებაში ვერ მისცემენ. მასზე არც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი ვრცელდება. ამიტომაც ამბობენ, რომ დიდ ბრიტანეთში ყოფნისას, დედოფალს შეუძლია ნებისმიერი კანონი დაარღვიოს. მაგალითად, ელისაბედ მეორის ავტომობილს შეუძლია იმოძრაოს იმ სიჩქარით, როგორც ეს მის უდიდებულესობას მოუნდება. საბედნიეროდ, დედოფალი მსგავს უფლებებს არ იყენებს. სხვათა შორის, ელისაბედ მეორეს არც მართვის მოწმობა აქვს და არც პასპორტი, რადგანაც ამ დოკუმენტებს სწორედ მისი სახელით გასცემენ.

რას ნიშნავს „სამეფო შეწყალება“?

თუ ვინმემ კანონი დაარღვია და ამისთვის გაასამართლეს, მონარქს მისი შეწყალების უფლება აქვს. თუმცა აქაც იგივე თემაა: დედოფალს მსგავს საქმეებში ჩარევა არ უყვარს. უახლოეს წარსულში ელისაბედ მეორემ ამ უფლებით მხოლოდ ორჯერ ისარგებლა: 2001 წელს მან შეიწყალა 2 დამნაშავე, რომელთაც ციხის ფერმის თანამშრომელი გადაარჩინეს. ამ უკანასკნელს თავს ტახი დაესხა. უფრო დიდი რეზონანსი მოჰყვა იმ ფაქტს, როდესაც დედოფალმა 2013 წელს „ინფორმატიკის მამა“ ალან ტიურინგი გარდაცვალებიდან 59 წლის შემდეგ შეიწყალა. ის 1950-იან წლებში ჰომოსექსუალიზმის შესახებ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით გაასამართლეს.

ელისაბედ მეორე გადასახადებს არ იხდის?

მონარქს შეუძლია გადასახადები არ გადაიხადოს და დიდი ხნის განმავლობაში არც ელისაბედ მეორე იხდიდა. თუმცა 1992 წელს მან გადაწყვიტა, რომ ამიერიდან გადასახადებს თავისი შემოსავლიდან ნებაყოფლობით გადაიხდიდა. მართალია, ბევრ შემთხვევაში დედოფალს შეუძლია „წესების გარეშე თამაში“, მაგრამ მან ძალიან კარგად იცის, რომ დღევანდელ დიდ ბრიტანეთში უმჯობესია გარკვეულ პრივილეგიებზე უარის თქმა.

მიწისძვრა ჩინეთში

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ მთებში მომხდარ მიწისძვრას 1 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 63 დაშავდა. 5.4 მაგნიტუდის მიწისძვრა სიშუანის პროვინციაში, ქალაქ ნეიჯიანგთან გამთენიისას მოხდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, 132 სახლი მთლიანად განადგურდა, ხოლო 5000 ნაწილობრივ დაზიანდა. ხელისუფლებამ 2417 ადამიანის ევაკუაცია განახორციელა.

ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „შინხუას“ ინფორმაციით, ხელისუფლებამ რეგიონში სამაშველო ოპერაციისთვის შეიარაღებული ძალების 100 თანამშრომელი გაგზავნა.

ამ რეგიონში მიწისძვრა ხშირად ხდება. ეპიცენტრი, ამ შემთხვევაშიც ტიბეტის ქვემოთ არსებული ტექტონიკური ფილა იყო.

„ფაქსაიმ“ იაპონიას შეუტია

იაპონიას ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე ძლიერმა ტაიფუნმა „ფაქსაიმ“ გადაუარა. სტიქიას, რომელსაც თან ძლიერი ქარი და წვიმა ახლავს, სულ მცირე ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

ქარის სიჩქარე საათში 200 კილომეტრს აღემატება, რაც მეტეოროლოგების განცხადებით, ამ რეგიონისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

სტიქიამ რამდენიმე მეწყრული პროცესიც გამოიწვია, ადიდებულმა მდინარემ ხიდი წაიღო. უსაფრთხოების მიზნით, მეწყერსაშიში ზონებიდან 2000-მდე მაცხოვრებლის ევაკუაცია განხორციელდა.

ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი მილიონამდე საცხოვრებელი სახლი. დედაქალაქში ფესვიანად არის მოგლეჯილი ხეები.

სტიქიის გამო, გადაიდო ასობით ავიარეისი. შეფერხებით ფუნქციონირებს სარკინიგზო მიმოსვლა.

ტაიფუნის გამო იაპონიის ცენტრალურმა რკინიგზამ ტოკიოსა და ოსაკას დამაკავშირებელ სარკინიგზო მაგისტრალზე ჩქაროსნული მატარებლების მოძრაობა შეწყვიტა.

პირს ბროსნანს ჯეიმს ბონდის როლში ქალის ხილვა სურს

ჯეიმს ბონდის როლის ყოფილ შემსრულებელ მსახიობს, პირს ბროსნანს, აგენტი 007-ის როლში ქალის ხილვა სურს, – წერს. Fox News.

კერძოდ, როგორც 66 წლის მსახიობმა ჟურნალისტებს განუცხადა, 40 წელია, ამ როლს მამაკაცები ასრულებენ და დროა, ადგილი ქალებს დაუთმონ.

ჯეიმს ბონდის შესახებ რიგით 25-ე ფილმში აგენტ 007-ის როლს, რომ ქალი შეასრულებს, ამის შესახებ ცოტა ხნის წინ საერთაშორისო მედიაც წერდა.

ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მსახიობი დენიელ კრეიგი, რომელიც 2006 წლიდან ჯეიმს ბონდის როლს თამაშობდა, დადებითად შეხვდა ინიციატივას – შემდეგ ფილმში სპეციალური აგენტის როლი ქალმა შეასრულოს.



თუმცა მალევე ცნობილი გახდა, რომ მსახიობი ქალის, ლაშანა ლინჩის გმირი, ბრიტანული სპეცსამსახურების თანამშრომელი 007-ის რიგით ნომერს ჯეიმს ბონდის არყოფნაში ატარებს.

ჯეიმს ბონდის შესახებ ახალ ფილმს „სიკვდილის დრო არ არის“ (No Time to Die) ერქმევა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა 2020 წლის 2 აპრილს გაიმართება. მისი რეჟისორი კერი ფუკუნაგა იქნება. კრეიგის გარდა ფილმში კრისტოფ ვალცი, რამი მალექი, ლეა სეიდუ, ანა დე არმასი და რეიფ ფაინსი მონაწილეობენ.

◎ ფარიკაობა

მაია იწყებს და იმარჯვებს



უზბეკეთის **დედაქალაქ ტაშკენტში დამთავრდა დაშნით მოფარიკავეთა სატელიტი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა 27 წლის თბილისელმა მაია გუჩმაზოვამ. მან ჯგუფში ზედიზედ აჯობა უზბეკებს — სევარა რახიმოვას (5:1), ჟასმინა სუვონოვას (5:2), შახზოდა ეგამბერდიევას (5:1), შემდეგ ყაზახები — ალექსანდრა ტამბოვცევა (5:3) და შანთალ ჟანსუგუროვა (5:4) დაამარცხა, მათს გზას გაუყენა ყირგიზი კამილა აბდილ-ხამიტოვა, და ექვსი მოგებით პლეიოფში პირველ ნომრად გავიდა, ამიტომ სტარტზე ისვენებდა.**

მერე ჩვენებურმა მასპინძლები — რადა კასიმოვა (15:6) და ვერონიკა როიკოვა (15:14) ჩამოიშორა გზიდან, ფინალში რუსი მარინა კესაევა დაჯაბნა — 15:9 და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე კესაევა გავიდა, ბრინჯაოს მედლები კი მასპინძლებს — ვერონიკა როიკოვასა და მალიკა ხაკიმოვას ხვდათ.

20-22 სექტემბერს მოხმალავეთა მსგავს ტურნირს ბულგარული პლოვდივი უმასპინძლებს. იქ სანდრო ბაზაძე და ლიკა ჯიჯეიშვილი მოსინჯავენ ძალებს. მოხმალავეებს მთავარი გამოცდა 15 ნოემბერს ელით — ეგვიპტეში პირად-გუნდური მსოფლიოს თასი გათამაშდება.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

გემოვნებაზე არ დავობენ

იყო დრო, „დინამოს“ სტადიონისკენ სიხარულით მივიჩქაროდით, რადგან ჩვენს საამაყო თანამემამულეთა მიერ დადგმული საფეხბურთო სპექტაკლები უმეტესწილად სასახელო შედეგებით მთავრდებოდა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და დრონი იცვალნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, არ შეცვლილა ძველი გვარდიის გულშემატკივართა გემოვნება და ამბიციები. მართლაც, წარმატებებს დაჩვეულ ქომაგთათვის ძნელია ეროვნულ ნაკრებად წოდებულ თანამედროვე მოთამაშეთა ერთობლიობის შეცვლილ მენტალიტეტთან და, აქედან გამომდინარე, თითო-ოროლა გამარჯვებასთან შეგუება.

ასე მოხდა ამჯერადაც — მას შემდეგ, რაც „ევრო — 2020“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფური ტურნირის სტარტზე დანიელებმა შინ მძიმე მარცხი გვაყენეს, ბელგიელებმა — ოლანდელებმა, ბელორუსელებმა — ირლანდიელებმა, ბულგარელებმა — ინგლისელებმა, ჩეხებმა — ჩერნოგორელებმა, ბოსნიელებმა — ფინელებმა, ალბანელებმა — ბელგიელებმა, ბერძნებმა — ესპანელებმა, ბელორუსელებმა — ფინელებმა, ბულგარელებმა — ჩეხებმა, ბერძნებმა — ალბანელებმა, ბელორუსელებმა — ბერძნებმა, ბულგარელებმა — ბელორუსელებმა, ბულგარელებმა — ბერძნებმა, ბელორუსელებმა — ბულგარელებმა, ბერძნ

◎ „იამგე ციხის ნაშალო“...

ერთ დროს მიტოვებული ციხე-სოფელი მუცო ცოცხლდება, მას მოსახლეობა უბრუნდება

შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ძეგლის – მუცოს ციხე-სოფლის რესტავრაციის პროექტი ორ წელიწადში დასრულდება. თუმცა მანამდე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მუცოს ძეგლი „ევროპა ნოსტრას“ ნომინაციაზე წარადგინა. დაჯილდოების ცერემონია 29 ოქტომბერს პარიზში გაიმართება.

ხევსურეთში მდებარე სოფელი მუცო ჟამთა სვლამ, მტრების შემოსევებმა და ბოლო წლებში ხელისუფლების უყურადღებობამ, ფაქტობრივად, გაანადგურა. ციხისგან, რომელსაც აქამდე საფორტიფიკაციო დანიშნულება ჰქონდა, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა.

ციხე-სოფელი მუცო სამ ვერტიკალურ ტერასაზეა განლაგებული. რამდენიმე ათეულ საცხოვრებელ სახლსა და ციხე-კოშკებთან მისასვლელი გზა ციცაბო ფერდობზე გადის.

2014 წლიდან დღემდე სოფელი მუცოს აღდგენისთვის გატარდა სამუშაოები, რამაც საბოლოოდ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის „ევროპა ნოსტრას“ საერთო ევროპული ფედერაციის ჯილდო მოაპოვებინა.

„სოფელი მუცო დაშლილ და დანგრეულ მდგომარეობაში იყო. მისი აღდგენის პროექტის პირველი ეტაპი გულისხმობდა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მოსამზადებელ პროცედურებს, რაც ხელს შეგვიწყობდა მომავალში ამ რეაბილიტაციის სრულყოფილად განხორციელებაში: ეს იყო საბაგირო გზის მოწყობა მასალების ასატანად, ავარიული შენობების დაშლა, დროებითი ნაგებობების მოწყობა, სადაც მუშებისთვის საცხოვრებელი უნდა განთავსებულიყო ციხის ქვემოთ, დენიც არ იყო საბაგიროსთვის, შემდეგი წლისთვის ფიქალის მოგროვება და ა.შ. შემდეგ წელს დაიწყო ქვედა უბნიდან ციხის რეაბილიტაცია და მოიცვა მთელი ტერიორია. განახლდა კოშკი, გაკეთდა მუცოს მუზეუმ-ნაკრძალი, სადაც იქნება საინფორმაციო ცენტრი ტურისტებისთვის და ადგილობრივი მაცხოვრებლის ოჯახი გაუწევს მეთვალყურეობას,“ – აღნიშნავს ციხე-სოფელ მუცოს არქიტექტორ-რესტავრატორი **შალვა მელიქიძე** „კომერსანტან“ საუბარში.

როგორც შალვა მელიქიძე ამბობს, მთლიანი პროექტის 80 პროცენტი უკვე შესრულებულია. პროექტის საინვესტიციო მოცულობა, რომელიც რამდენიმე ეტაპად ხორციელდება და ჯერ კიდევ მიმდინარეობს, 2 მილიონ ლარს შეადგენს. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს დაემატა „ქართუ ფონდის“ თანხებიც და თითქმის ორ წელიწადში მუცოს აღდგენის პროექტი დასასრულს მიუახლოვდება.

„მუცო იყო დაუსახლებელი, სადაც მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა. პროექტი იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ აქ ხალხი უკვე დაბრუნდა და კიდევ რამდენიმე აპირებს დასახლებას. ეს იქნება ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, ტურისტებსაც ექნებათ დარჩენის საშუალება და ხალხიც იცხოვრებს, რომელთაც შემოსავლის წყარო ექნებათ. ტრადიციული მეთოდით აშენებული ამ შენობების დაშლის მთავარი მიზეზი უყურადღებობაა, როცა მოსახლეობა დაბრუნდება, ეს ძეგლი უპატრონოდ აღარ იქნება, რადგან ამ მხარეში ადამიანის ხელი აუცილებელია. თუ არავინ მოუვლის, ისევ დაიშლება, უბრალოდ, დროის ამბავია. ის ოჯახი, რომელიც მუზეუმ ნაკრძალს მიხედავს, დაეხმარება ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს შენარჩუნებაში.

მომავალ წელს ბოლო ეტაპი დაიწყება. ეს ინფრასტრუქტურული პროექტია, ეს კი მოიცავს ბილიკების მოწყობას, წყლის აყვანას ამ ტერიტორიაზე, დამცავი ჯებირების მოწყობას უსაფრთხოების მიზნით. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თქმით მუცოში შშმ პირებისთვისაც უნდა გაკეთდეს სპეციალური ადგილები დასათვალიერებლად. – ამბობს არქიტექტორ-რესტავრატორი.

აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესში უსაფრთხოების თვალსაზრისით დაზღვევის პროცედურებს კომპანია „არდი“ უზრუნველყოფდა.

2018 წელს მუცოს ძეგლი „ევროპა ნოსტრას“ ნომინაციაზე წარადგინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ.

„ევროპა ნოსტრა“ – კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოების პანევროპული ქსელია, რომელიც 1963 წელს შეიქმნა და ევროპის 50-ზე მეტი ქვეყანიდან 250 საზოგადოებრივ ორგანიზაციას, 150 ასოცირებულ და 1500 ინდივიდუალურ წევრს აერთიანებს. ფედერაციის შტაბბინა ჰაააგაში მდებარეობს. „ევროპა ნოსტრა“ თანამშრომლობს ისეთ მსხვილ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროკავშირი, ევროსაბჭო და იუნესკო. საქართველო „ევროპა ნოსტრას“ ასოცირებული წევრი 2016 წელს გახდა.

მარიამ მორგოშია

◎ ჯანმრთელობა

იური ბუზიაშვილი: გაუფრთხილდით ჰიპერტონიას!

გულ-სისხლძარღვთა **დაავადებები პლანეტის მოსახლეობის სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად რჩება – იმათ გამო სნეულთაგან თითქმის ყოველი მეორე კაცი იღუპება. ამ ხალხის გარკვეული ნაწილი კი თავისით მკურნალობს, რადგან ექიმებს არ მიმართავს, რაც მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის დირექტორის მოადგილის, აკადემიკოს იური ბუზიაშვილის აზრით, სრულიად დაუშვებელია:**

– გულთან და მის სისხლით მკვებავ ძარღვებთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემაა **მომატებული არტერიული წნევა, რომლის კლასიკური ნიშნებია შუილები თავსა და ყურებში, სახის სიწითლე, კეფის არეში ტკივილი,** თუმცა ისინი ყველას და ყოველთვის არ აღენიშნება. კრიტიკულ მნიშვნელობამდე აწევისას, არტერიული წნევა ხშირად თავს არაფრით ამჟღავნებს, ამდენად, კაცმა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემის წარმოშობის შესახებ არაფერი იცის. არადა, **არტერიული წნევის ვერცხლისწყლის სინდიყის 160-ზე მეტის აწევას ჰიპერტონიულ კრიზად აფასებენ,** რომელსაც სიცოცხლისთვის სახიფათო გართულებები შეიძლება მოჰყვეს, განსაკუთრებით ასაკოვან ხალხში, რომლებიც გარკვეულ ქრონიკულ სნეულებებს უჩივიან. ამიტომაა, რომ **ყველა 40 წელს გადაცილებულმა, მიუხედავად იმისა, თავს როგორ გრძნობს, წნევა ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც უნდა გაიზომოს.**

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, კაცს საკუთარი თავის თავადვე შველის მეტად შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და ეს წნევის ზედა 150-იანი ზღვრის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს. ამ დროს საჭიროა წამოწოლა, თავისუფლად სუნთქვა, ოთახში ჰაერის შემოშვება. ასევე სასურველია 5-7 წუთით ფეხების ცხელ წყალში ჩაყოფა. მაგრამ, **თუკი წნევა 160-ზე მეტია, მაშინ აუცილებელია სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვა.**

ასევე სასურველია საოჯახო აფთიაქისთვის წამლების დაკვირვებით შერჩევა. **იმის მიუხედავად, ოჯახის წევრებს შორის ქრონიკული დაავადებებით სნეული ადამიანები არიან თუ არა, ყველას ვურჩევ ხელთ აუცილებლად იქონიოს დამამშვიდებელი პრეპარატები. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი დაავადების წარმოშობასა და გამძაფრებას პანიკა ახლავს. ამიტომაც მკურნალობის დაწყება საჭიროა 50 წვეთი ვალოკორდინის ან კორვალოლის მიღებით.** წნევის დამწევი საშუალება კი თითოეულ პაციენტს თავისი უნდა ჰქონდეს და ის მკურნალმა ექიმმა უნდა შეურჩიოს. ამის საჭიროებას ის გარემოება განაპირობებს, რომ ერთი და იგივე წამალი ზოგს შეიძლება შველოდეს, ზოგსაც – არა.

ასევე სასურველია, რომ ყველა კაცს უბის წიგნაკში პირადი ექიმის ტელეფონი ჰქონდეს ჩაწერილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მისმა ახლობლებმა შეიძლება მიმართონ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ **წნევის დამწევი პრეპარატების მიღება საჭიროა საკმაოდ დიდი დროის მანძილზე, რადგან წნევა ნორმაში ჩამდგრად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება, როცა 6-8 თვის მანძილზე მისი მომატების არც ერთი შემთხვევა არ აღნუსხულა,** ხოლო როცა ეს მიზანი მიღწეულია, პრეპარატის დოზის შემცირება, ანდა მისი მოხმარების სულაც გაუქმების გადაწყვეტილება პაციენტის მკურნალმა ექიმმა უნდა მიიღოს.

ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ **არც ერთი კარდიოლოგიური პრეპარატის მიღება არ შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის აუცილებლობა უტყუარია). ამის მიზეზი კი ისაა, რომ დროთა განმავლობაში ორგანიზმი ეგუება კონკრეტულ პრეპარატებს და ისინი სათანადოდ ვეღარ მოქმედებენ.**

ცალკე საკითხია გულის სნეულებებით დაავადებულთა კვების რეჟიმი. კარდიოლოგების რჩევები ასეთია: **40 წლის ასაკიდან საჭიროა ადვილად ათვისებადი, ასევე რძის მჟავე პროდუქტების მიღება და საღამოს 6-7 საათის შემდეგ ტრაპეზისთვის თავის არიდება.** მკურნალობის დანარჩენი პროცესის წარმართვა ინდივიდუალურია: კაცმა თავის ორგანიზმს ყური უნდა მიუგდოს და იცოდეს, თუ რა საკვები ვნებს და რა – არა.

კარდიოლოგიურ პრობლემათა მქონეთათვის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. საგულისხმოა, რომ **ორგანიზმის სისხლძარღვთა მთლიანი სიგრძე, სხვადასხვა მონაცემებით, 80 და 150 ათას კილომეტრამდე მერყეობს.** სიცხისა თუ სიცივის პირობებში სისხლძარღვების მდგომარეობა არამდგრადი ხდება, ხოლო მათი ნორმალიზებისთვის გარკვეული ძალის გამოყენება და ხშირად, საექიმო დახმარებაცაა საჭირო.

ტემპერატურული ანომალიების დროს, გულ-სისხლძარღვების დაავადებათა მქონეთათვის სასურველია სიფრთხილე: **ამინდის შესაფერისად ჩაცმა, ჭარბი ფიზიკური დატვირთვებისთვის თავის არიდება. სიცხეში უმჯობესია სახლიდან გაუსვლელობა, მზისთვის თავის არიდება.**

აუცილებლად მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ზოგიერთი ადამიანის სიჯიუტის არაგონივრულობის გამო წარმოიშვება. უპირველესად, ეს იმაში გამოიხატება, რომ კაცი თამბაქოს მოწევას არ ეშვება, საკუთარ წონას არ აკონტროლებს, ფიზიკურად პასიურია, კვების რაციონსა და რეჟიმს არ იცავს, ექიმის დანიშნულებებს არ ასრულებს. ასეთი მოქმედებით კაცი, უწინარესად, საკუთარ თავს არ სცემს პატივს, მაშასადამე, რისკის ჯგუფში იმყოფება და საკუთარი სიცოცხლისთვის საფრთხეს ჯეროვნად არ აფასებს!

დაიმახსოვრეთ:

ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაციამ მოქცევის შვიდი წესი დაგვისახელა, რომელთა დაცვა ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წარმოშობის რისკს 80 პროცენტით. სპეციალისტების მონაცემებით ამ რჩევებს დედამიწის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი ითვალისწინებს:

- თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა;
- დაბალანსებული კვება;
- ყოველდღიურად არანაკლებ 40 წუთის ხანგრძლივობით გასეირნება;
- წონის კონტროლი;
- სისხლში შაქრის შემცველობის კონტროლი;
- წნევის ყოველდღიური კონტროლი;
- ქოლესტერინის დონის რეგულარული კონტროლი.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

საჩუქარი ბორჯომ-ქალაქს

ბორჯომის ცენტრალური პარკის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მსოფლიოში აღიარებული საოპერო მომღერლის (ბანის) რამაზ ჩიკვილაძის კონცერტი. იგი მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგა თანამოქალაქეების და უამრავი დამსვენებლის წინაშე. მას აკომპანიმენტს უწევდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კონცერტმაისტერი ირინა აივაზოვა. რამაზმა შეასრულა ქართველი და დასავლეთ ევროპელი კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობდა ასევე ოპერის ახალგაზრდა, უმშვენიერესი სოლისტი, მეცო-სოპრანო ირინა ალექსიძე, რომელმაც ბიზეს ოპერა „კარმენიდან“ ორი არია შეასრულა. თითოეულ მუსიკალურ ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოებდა მსმენელი.

კონცერტის წამყვანი გახლდათ თეატრმცოდნე **ნიკოლოზ წულუკიძე,** მან ვრცლად ისაუბრა მომღერლის შემოქმედებით მოღვაწეობაზე. მის ბიოგრაფიაზე და აღნიშნა: **რამაზი ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა, სამუსიკო სკოლაც ბორჯომში დაამთავრა ქალბატონ ნაილი აბულაძის ძალისხმევით, მიუხედავად იმისა, რომ სპორტით იყო გატაცებული, კონსერვატორიაში ნოდარ ანდღულაძის კლასში ჩაირიცხა... იგი დღეს აღიარებული მსოფლიო ბანია და დღევანდელი კონცერტი საჩუქრად მიუძღვნა თანამოქალაქეებს.“** კონცერტის დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ მისი მეგობრები, თანაკურსელი **სულხან გველესიანი** და **ვანო გალუაშვილი,** რომელთაც გაიხსენეს სტუდენტობის შთამბეჭდავი წლები.

„სს ფირუზა პოსტელის“ დირექტორმა **მალხაზ დოლმაზაშვილმა** და სასტუმრო „თბილისის“ დირექტორმა **ჯუმბერ სახვაძემ** ბორჯომელებისა და სტუმრების სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადეს რამაზ ჩიკვილაძეს და კონცერტში მონაწილეებს ასეთი შინაარსიანი და გულშიჩამწვდომი საღამოს ჩუქებისთვის.

ნანა ჭიჭინაძე

ჯენიფერ ლოპესს ფილმის პრემიერაზე აქტივისტები დახვდნენ

ჯენიფერ ლოპესი Totronto-ს საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე მისი ახალი ფილმის Hustlers-ის პრემიერას დაესწრო. უცხოური გამოცემების ინფორმაციით, მომღერალს წითელ ხალიჩაზე აქტივისტები დახვდნენ, რომლებიც ბეწვის ტარებას აკრიტიკებენ. ისინი ლოზუნგებით და პლაკატებით ხელში გაჰყვიროდნენ — **„სირცხვილია ჯენილო ბეწვის ტარება“, მათი თქმით, მომღერალმა უნდა შეწყვიტოს ცხოველების ბეწვის ტარება, რადგან მას ისინი სძულს და მხოლოდ გარეგნობისა და პირადი სიამოვნების გამო აცვია.**

სავარაუდოდ, აქტივისტების გაღიზიანება ფილმის კადრებმა გამოიწვია, სადაც ვარსკვლავი შემოსილია ბეწვის მოსაცმელით. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ ლოპესი ყოველდღიურ ჩაცმულობაშიც ხშირად იყენებს ბეწვეულს.

მომღერალმა აქტივისტების ნაწილს ყურადღება არ მიაქცია და პრემიერაზე პოზირება განაგრძო.

„ჰარი პოტერი“ გრძელდება

ბრიტანელმა მწერალმა ჯოან როულინგმა „ჰარი პოტერის“ გულშემატკივრებს, სავარაუდოდ, მიანიშნა, რომ ახალი ფილმის გადაღებები მიმდინარეობს, — წერს Fox News-ი. კერძოდ, მწერალმა Twitter-ზე დადო ფოტო, რომელზეც თავის ქალა და გველია გამოსახული. ასევე, სურათს წარწერა დაურთო: „ხანდახან სიბნელე მოულოდნელი ადგილიდან მოდის. დაწყევლილი ბავშვი. ჰარი პოტერი“.

სწორედ ამიტომ, გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ მწერალმა ჰარი პოტერისა და დაწყევლილი ბავშვის შესახებ ახალი ფილმი დააანონსა.

„ჰარი პოტერი და დაწყევლილი ბავშვი“ ფილმ „ჰარი პოტერის“ გამოსვლიდან 19 წლის შემდეგ ბროდვეის სცენაზე დაიდგა.

„ჰარი პოტერის“ პირველი ფილმი 2001 წელს გამოვიდა. მას 7 ფილმი მოჰყვა. ბოლო ფილმი 2011 წელს გამოვიდა, რომლის სახელწოდებაა „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები: ნაწილი 2“.

„ჰარი პოტერის“ პირველი წიგნი 1998 წლის 26 მაისს გამოიცა. „პოტერიადა“ ჯოან როულინგის წიგნების სერიაა ჯადოქარ ბიჭ ჰარი პოტერზე. 77 ენაზე ნათარგმნი წიგნის 500 მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული.

ნიუ-იორკის მოდის კვირეული გაიხსნა

სექტემბრის **დასაწყისს სრულიად მოდის სამყარო ელოდება, როცა დიზაინერები თავიანთ ახალ კოლექციას წარუდგენენ საზოგადოებას. კვირეულის ფარგლებში უკვე გაიმართა რამდენიმე ჩვენება, მათ შორის Brandon Maxwell-ის და Ralph Lauren-ის. მათ 2020 წლის გაზაფხულის კოლექცია წარადგინეს.**

Brandon Maxwell-ის ახალი კოლექცია გამოირჩეოდა როგორც ნაზი, კლასიკური, და ყოველდღიური, დახვეწილი სამოსის ელემენტებით. კოლექციაში ძირითადად შავი, მწვანე და კრემისფერი ჭარბობდა. ჩვენება გახსნა თანამედროვე მოდის ერთ-ერთმა ცნობილმა სახემ ირინა შეიკმა.

Ralph Lauren-მა კი წარადგინა დახვეწილი სამოსი, რითაც მისი კოლექცია ყოველთვის გამოირჩევა. შოუ კლასიკური დეტალებით და მუსიკის გემოვნებიანი ელემენტებით იყო გაფორმებული. დიზაინერის ახალ კოლექციაში ძირითადად შავი, თეთრი, წითელი და ლურჯი ფერები დომინირებდა. Lauren-ის კოლექცია სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა გახსნა.

ჩვენებებში ისეთი სუპერმოდელები მონაწილეობდნენ, როგორებიც არიან ბელა ჰადიდი, ჯოან სმოლსი, გრეის ელიზაბეტი, სტელა მაქსველი, ტეილორ ჰილი, ქენდის სვეინპული და იასმინ უაინალდუმი.

უცნობი სიგნალები კოსმოსიდან

ჩინელმა ასტრონომებმა უცნობი წარმოშობის სიგნალები დაადასტურეს, რომელთა წყაროც დედამიწიდან 3 მილიარდი სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო Xnhua ავრცელებს.

„განმეორებადი სწრაფი რადიოიმპულსები (Fast Radio Bursts, FRB) **მიღებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი 500 მეტრის დიამეტრის სფერული რადიოტელესკოპით“,** — ნათქვამია ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული ობსერვატორიების სპეციალისტების განცხადებაში.

სფერული რადიოტელესკოპი FAST ჩინეთში, გუიჯოუს პროვინციაში მდებარეობს. FRB სიგნალების ხანგრძლივობა რამდენიმე მილი წამია. მეცნიერებს მათი წარმომავლობის შესახებ დასაბუთებული ახსნა ჯერ არ მიუღიათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9636; ევრო - 3.2683;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6440;
100 რუბლი - 4.4981; თურქული ლირა - 0.5186;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7432;
1000 სომხური დრამი - 6.2143.

ამინდი 10 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge